# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 ნოემბერი, 2010 წელი.

№220 (6586)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# სახალხო კრება – დიდი სახალხო მოძრაობის დასაწყისი!...




2010 წლის 25 ნოემბერი, პარლამენტის წინ

2

ჯემალ კასრაძის ფოტო

## „ნატო–ევროკავშირის გადაწყვეტილებები სამხედრო დამნაშავე სააკაშვილის უდიდესი გამარჯვება და ევროპის დიდი მარცხია“

4



5

## ბურებიდა გააკლდნენ სრული ბედნიერებისთვის და ეს ოცნებაც აგვიხდა! დიდი მადლობა მიშას და სანდრას!




## ქრისტიანები არა ხართ, ქრისტიან-დემოკრატებო?

3



## „ბავშვებს ცარიელ პურს რომ ვაძლევ, უგემურად ღეჭავენ და უკან მომიბრუნებენ-ხოლმე“...

7

## ლისაბონში ქართველ დელეგატებს 80 მეძავთან წაასწრეს

ლისაბონში ნატოს სამიტზე ჩასული საქართველოს დელეგაციის მონაწილეებს წაასწრეს უცნობი ქალების კამპანიაში სასტუმროს შესასვლელთან. აქ ქვეყანა ჩამოსული იყო, რათა დაედასტურებინათ თავისი სწრაფვა ალიანსში შესასვლელად. როგორც ჩვენმა გაზეთმა გამოარკვია, საღამოს წვეულებამ, რომელიც დაიწყო ხუთშაბათს და გაგრძელდა პარასკევ დილამდე, შეაშფოთა საფრანგეთის დელეგაცია, კერძოდ, პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი.

მეძავების ყოფნის შესახებ ცნობილი გახდა ერთ-ერთ ქალთან მომხდარი ინციდენტით. ყოველივე მომხდარი, ალბათ, არ გასცდენია სასტუმროს ფარგლებს. ჩვენ ვერ შევძელით გაგვეგო, თუ, კერძოდ, რა მოხდა ამ ქალთან დაკავშირებით, მაგრამ ის, რომ ინციდენტი დაფიქსირებული იყო იმ ორგანოების მიერ, რომლებიც პასუხს აგებდნენ უსაფრთხოებისთვის ლისაბონის სამიტზე, დადასტურდა. მხიარულობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სომხეთის დელეგაციის ზოგიერთმა წევრმა, რომლებიც იმავე სასტუმროში ცხოვრობდნენ. საღამოს წვეულება გააუზნეურა საფრანგეთის დელეგაციამ, რომელმაც იჩივლა ხმაურის გამო. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტებმა დაადგინეს, რომ საფრანგეთის დელეგაციის წევრები მეტად აღაშფოთა ასეთმა ზეიმმა.

80 მეძავის გამოყვანა მოხერხდა, როდესაც ისინი წარმოაჩინეს, როგორც ქართველი და სომეხი დელეგატების ცოლები. როგორც გავარკვიეთ, სასტუმროს ადმინისტრაცია ძალიან შეშფოთდა მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ ყველა ეს ქალი – მეძავი იყო. სასტუმრო, სხვათა შორის, ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულად და პრესტიჟულად ითვლება ლისაბონში. მასში განთავსებული იყვნენ საკვანძო სახელმწიფოების მთელი რიგი დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ სამიტში.



# ბოლომდე ვიბრძოლებთ!..

## გუშინ პარლამენტის წინ გამართულმა სახალხო კრებამ ეროვნული დაუმორჩილებლობის დაწყება გამოაცხადა



**25 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის წინ გაიმართა სახალხო წარმომადგენლობითი კრება, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას ღებულობდა 850 000 ამომრჩევლის მიერ არჩეული 15000 დელეგატი და 20 ათასამდე მოქალაქე.**

**აირჩიეს სათათბირო და აღმასრულებელი ორგანოები; სამანდატო და სარევიზიო კომისიები.**

**წარმომადგენლობითი სახალხო კრების მუშაობას წარმართავდა კინორეჟისორი გოგი ქავთარაძე.**

**კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ნონა გაფრინდაშვილი.**

**სათათბირო და აღმასრულებელი ორგანოების წევრებად დაასახელეს საზოგადოებისთვის ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები ჭაბუა ამირეჯიბი, ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ესაძე, გია ბურჯანაძე, დიმა ჯაიანი, მინდია უგრეხელიძე, პოლიტიკოსები ნინო ბურჯანაძე, გუბაზ სანიკიძე, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ შაშიაშვილი და სხვ.**



**კრებამ მიიღო რეზოლუცია და ხელისუფლებისადმი უნდობლობის ვერდიქტი, რომელშიც ნათქვამია:**

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

### საქართველოს ხალხის უნდოგლოგის ვერდიქტი

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისათვის უნდოგლოგის გამოცხადების შესახებ

*იმის გამო, რომ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის ერთადერთ მშვიდობიან და კონსტიტუციურ გზას წარმოადგენს იმპიჩმენტი, რომლის უფლებამოსილებაც, კონსტიტუციის მიხედვით, ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს;*





*იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტი უუნაროა, ხელისუფლების სიწმინდის დასაცავად შემოღებული იმპიჩმენტის მექანიზმი აამოქმედოს პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ, მიუხედავად იმპიჩმენტისთვის კონსტიტუციით დადგენილი არაერთი შესაბამისი საფუძვლის არსებობისა;*

*იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტის უუნარობა, განახორციელოს კონსტიტუციით მისთვის დაკისრებული ფუნქცია — კორუმპირებული ჩინოვნიკების ხელისუფლებისგან ჩამოშორება, განპირობებულია პარლამენტში პრეზიდენტის მომხრეთა აბსოლუტური უმრავლესობის ფაქტით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია საქართველოს პარლამენტის არჩევნების გაყალბებით;*

**ჩვენს სინამდვილეში ყველაფერი ძვირდება, ხოლო ხელისუფლება იაფდება!**



ქვეყნის ხელისუფლება აღარ და ვეღარ ემსახურება იმ უმთავრეს მიზანს, რომლის განსახორციელებლადაც მას ხალხმა ხელისუფლება უბოძა და მიანდო — ადამიანის უფლებების დაცვას და საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვას;

ხელისუფლების საქმიანობა დამღუპველი ხდება ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოებისთვის;

ფეხქვეშ ითელება უმთავრესი დემოკრატიული ღირებულებანი, სამართალი და სამართლიანობა, ხოლო ახლო მომავალში ქვეყანას კიდევ უფრო უარესს უქადის;

საზოგადოების საფუძვლიან პროტესტსა და აღშფოთებას, მის მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას, მრავალგზის თხოვნასა თუ გაფრთხილებას ხელისუფლება მოჩვენებითი ღონისძიებებით, გამაოგნებელი სიცრუით, წრეგადასული ცინიზმით, მუქარით, დაშინებით, ამორალური თუ უღირსი ქმედებით, ახალი, კიდევ უფრო შემზარავი უკანონობითა და ძალმომრეობით პასუხობს;

ამ და უამრავი სხვა სერიოზული მიზეზით საზოგადოების უდიდეს ნაწილში სუფევს ხელისუფლებისადმი სრული გაუცხოება და უნდობლობა, არსებული კრიმინალური პოლიტიკური რეჟიმისადმი შეუგუებლობა და აღარ არსებობს არავითარი სხვა გამოსავალი, გარდა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლისა.

საღი აზრი, კეთილგონიერება, სამოქალაქო ღირსების შეგნება და ფუნდამენტური სამართლიანობის პრინციპები გვიკარნახებს, რომ ხალხის ლეგიტიმურ უფლებად და მისსავე მოვალეობად მივიჩნიოთ ნებისმიერი მშვიდობიანი ფორმით ხელისუფლების შეცვლა ღირსეული მომავლის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ხალხი, როგორც თავისუფალი და თავმოყვარე ერი, რომელსაც ღრმად სწამს, რომ თვითონ არის, და დიახაც, უნდა იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი და შემოქმედი,

საქვეყნოდ აცხადებს უნდობლობის ვერდიქტს



*იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული მიზეზით, საქართველოს პარლამენტი ვერ უზრუნველყოფს ქართველი ხალხის რეალურ წარმომადგენლობას და ამიტომ მისი მეშვეობით ხალხი ვერ ახორციელებს თავის ნება-სურვილს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის პროტესტმა პრეზიდენტ სააკაშვილის ნებაყოფლობით გადადგომის მოთხოვნით ვერ გამოიღო შედეგი.*

*საქართველოს ხალხი, უშუალოდ დემოკრატიის მეშვეობით, თავის თავზე იღებს პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილებას მისთვის უნდობლობის გამოცხადებით დაღუპვისგან ქვეყნის გადასარჩენად და იმ ძირითად დემოკრატიულ ღირებულებათა დასაცავად, რომელთაც ყოველი ღირსეული ერი ესწრაფვის და აღწევს კიდეც.*

*ქვეყნის ხელისუფლება აღარ და ვეღარ ემსახურება იმ უმთავრეს მიზანს, რომლის განსახორციელებლად მას ხალხმა ხელისუფლება უბოძა და მიანდო – ადამიანის უფლებების დაცვას და საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვას;*

*ხელისუფლების საქმიანობა დამღუპველი ხდება ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოებისთვის;*

*ფეხქვეშ ითელება უმთავრესი დემოკრატიული ღირებულებანი, სამართალი და სამართლიანობა, ხოლო ახლო მომავალი ქვეყანას კიდევ უფრო უარესს უქადის;*

*საზოგადოების საფუძვლიან პროტესტსა და აღშფოთებას, მის მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას, მრავალგზის თხოვნასა თუ გაფრთხილებას ხელისუფლება მოჩვენებითი ღონისძიებებით, გამაოგნებელი სიცრუით, წრეგადასული ცინიზმით, მუქარით, დაშინებით, ამორალური თუ უღირსი ქმედებით, ახალი, კიდევ უფრო შემზარავი უკანონობითა და ძალმომრეობით პასუხობს;*

*ამ და უამრავი სხვა სერიოზული მიზეზით საზოგადოების უდიდეს ნაწილში სუფევს ხელისუფლებისადმი სრული გაუცხოება და უნდობლობა, არსებული კრიმინალური პოლიტიკური რეჟიმისადმი შეუგუებლობა და აღარ არსებობს არავითარი სხვა გამოსავალი, გარდა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლისა.*

**წარმომადგენლობითმა** სახალხო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საერთო ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების შესახებ.

საერთო ეროვნულ დაუმორჩილებლობას საქართველოს რაიონებში მოამზადებენ და ხელმძღვანელობას გაუწევენ კრების ეგიდით შექმნილი კომიტეტები.

ამის შემდეგ სახალხო წარმომადგენლობითმა კრებამ მუშაობა მიტინგის რეჟიმში გააგრძელა.



ჯემალ კასრაძის ფოტორეპორტაჟი

⊙ პირველი „მერცხალი?“

# ქრისტიანები არა ხართ, ქრისტიან-დემოკრატებო?

**გუშინწინ კიდევ ერთხელ „გაგვახარეს“ – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ წყალმომარაგების ახალი ტარიფი განსაზღვრა, ადრინდელზე 75 თეთრით მეტი – 3,15 ლარი.**

**რას ვიზამთ, როგორც ჩანს, ხალხზე ექსპერიმენტები გრძელდება – შიმშილს მიჩვეულებს ახლა წყურვილსაც გვაჩვევენ!**

კიდევ კარგი, თბილისელებს ხალხზე მზრუნველი მერი გვყავს, რომელიც სემეკის ამ გადაწყვეტილებას არ დათანხმებია და პრემიერ-მინისტრისთვის უთხოვია, – არიქა, ხალხი მეჩაგრება, წყლის სპეციალური კომისია მოიწვიეთო.

ამ, კაცმა რომ მკითხოს, წყალს გასატანებელ წყლის კომისიასაც დაუკმაყოფილებია უგულავას წინადადება და ქალაქის იმ უბნებში მცხოვრებთათვის, ვისაც წყალი გრაფიკით მიეწოდება, თურმე ძველი ტარიფი დაუტოვებია.

**ბრავო, ბრავისიმო, ხალხზე ზრუნვით თვალებამოღამებულო და დაუღალავი ჯაფით ქანცგაცლილო მერო და ხელისუფლებავ!**

**გაგონილა? ქვეყანა ლამის წყალში იძირებოდეს, წყლის რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი იყოს, მის მცხოვრებთ კი უწყლობა თუ უფულობის გამო წყურვილიც ახჩრობდეთ?!**

თუმცა ეს სხვა თემაა და ამაზე ცალკე ვისაუბროთ. ახლა კი „ოპოზიციონერ“ ქრისტიან-დემოკრატებს მინდა მივმართო:

**თქვე კარგი დედამამიშვილებო, ქრისტიანები არა ხართ? ღმერთი არა გწამთ?**

ამას რატომ გეკითხებით და სიტყვა „ოპოზიციონერიც“ რატომ ჩავსვი ბრჭყალებში, იცით?

იმიტომ, რომ ჯერ ერთი: **თუ მართლაც ოპოზიციონერები ხართ, ამ გადაწყვეტილების მიღების დღესვე რად არ ამოიღეთ ხმა უთავო-უპასუხისმგებლო ხელისუფლების მიერ თავის ნებაზე მიშვებული ე. წ. „ინვესტორის“ თუ კომისიის წინააღმდეგ, ვინც გადასახადებით გვახრჩობს?**

და მეორეც: **თბილისის მერობის კანდიდატად თქვენი მოძრაობის მიერ დასახელებული გია ჭანტურია არ გვპირდებოდა სულ ახლახან, როგორც გურულებს უყვართ თქმა, „გუშლამ“, – თუ მერად ამირჩევთ, გაზსა და დენს, ამჟამინდელთან შედარებით, კაპიკებში მოგცემთ, წყლით კი საერთოდ უფასოდ მოგამარაგებთო?**

რა გამოვიდა?

**რაც არის, არის, ამ საქმესაც მიხედეთ, ლეიბორისტებო და „პრიმაზე“ უთუოდ გაგებზავნებით!**

დავიჯერო, დაახლოებით იმგვარი რამ, რაც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩემს ზუგდიდელ კოლეგებს თავიანთი გაზეთის ერთი მორიგი ნომრის ბეჭდვისას მოსვლიათ?

იქ მაშინ ახლა წყალსადენის გაყვანით გახარებულებს გაზეთში მასალა დაუბეჭდავთ – **ჩვენი დიასახლისები ახლა უკვე კმაყოფილი არიან წყლით მომარაგებითო.**

ბეჭდვისას კი სიტყვა „წყლის“ პირველი ასო „დაკარგულა“ (ასეთი რამ ხდებოდა მაშინდელ პოლიგრაფიაში, ერთხელ გაზეთ „კომუნისტის“ ბეჭდვისას ასო **„მ“**-ს თავი წატყდა და ბრეჟნევი **„უძაღლესი საბჭოს“** თავმჯდომარედ „გამოვაცხადეთ“ძ და ამის გამო მისგან რაც დარჩებოდა, ამის გამოცნობას დიდი მისნობა არ სჭირდება!

**ახლაც იგივე დაგვრჩა და იმით გვამარაგებენ არა მარტო ქრისტიან-დემოკრატთა ყოფილი მერობის კანდიდატი, არამედ მთლიანად ეს მოძრაობაც?**

თუ ასე არ არის, რად არ ამოიღეს ხმა ტარიფის გაძვირებისთანავე?

თუ, ამის დაჯერება არ მინდა, მაგრამ ისინიც ერთი პარლამენტარი „ოპოზიციონერივით“ იქცევიან, რომელმაც კითხვაზე, რატომ პროტესტს არ გამოთქვამ ამისა და ამის გამოო, თურმე უპასუხა – **მაგის გულისთვის ხელისუფლებასთან ურთიერთობას ვერ გავიფუჭებო(?!).**

რას ვიზამთ, როგორც ჩანს, ისევ ლეიბორისტები შემოგვრჩნენ ბოლო იმედად, რომლებსაც ბევრჯერ შეუცვლევინებიათ სემეკისა თუ სხვებისთვის ხალხის დამჩაგვრელი გადაწყვეტილებანი!

ჰოდა, მოდით, ლეიბორისტებო, ქორწინების პირველ ღამეს თავისი ვაჟიშვილის ცვედნობით გამწარებულ მიხოსავით, რომელსაც შესჩივლა თურმე შვილმა გასაჭირი, წამოიძახეთ, – **ამისი დედა კი ვატირე, როგორ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია ამ ოჯახშიო,** – და „შვლიპეთ“, ამის სამადლობლოდ „პრიმის“ მოტანა კი ჩვენზე იყოს!

თუმცა იქნებ ეს არც დაგვჭირდეს და **წყალზე ტარიფის მომატებაც მართლაც, ზოგი ჭირივით მარგებელი და „გაზაფხულის“ მაცნე პირველი „მერცხალი“ გამოდგეს?**

ისედაც ერთობ მძიმე სოციალური ყოფის უფრო მეტი გაუსაძლისობით გამწარებული ხალხის მოსალოდნელ რეაქციას ვგულისხმობ.

თუ ხალხს ხელისუფლების თავგასულობით გამოწვეული სიდუხჭირე ყელში ამოუვიდა, არც ოპოზიცია დასჭირდება და არც „გამოკვეთილი“ ლიდერი იმისთვის, რომ სტიქიურად გამოვიდეს ქუჩაში და თავი მოკვეთოს იმას, ვისი უთავობითაც აქვს ცხოვრება გამწარებული.

**ტარიფის ეს მორიგი მომატება კი მთლად „გაზაფხულის“ მაცნე პირველი „მერცხალი“ თუ არა, იქნებ იმ ბოლო წვეთის „მომწიფების“ მაუწყებელი მაინც იყოს, რომელიც ისედაც გადაპიპინებულ მოთმინების ფიალას „სადინარს“ გაუჩენს?**

**რუსლან რუსია**




*P. S. **გუშინ** საღამოს ქრისტიან-დემოკრატების საკრებულოელ წარმომადგენლებს საგანგებო ბრიფინგზე გაუპროტესტებიათ ტარიფის მომატება. კარგი იქნება, თუ მათ „უფროსი“ ქრისტიან-დემოკრატებიც მიბაძავენ და ბოლომდე იბრძოლებენ ხალხის ყოფის დამამძიმებელ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ!*

*რ. რ.*

⊙ ყელში წაჭერა

# ფასების ზრდა საკუთარი ხალხისთვის ბოროტების ტოლფასია

**საკრებულოს ფრაქცია „ჩვენი თბილისის“ წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე წყლის გადასახადისა და მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაზრდას „ბოროტებად“ აფასებს და აცხადებს, რომ დედაქალაქის მერიას სურს ეს უკანასკნელი მომგებიან ბიზნესად აქციოს.**



– მსოფლიოს არც ერთ ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტი მომგებიანი არ არის. პირიქით, შესაბამის ხარჯებს მოსახლეობისთვის მერია გამოყოფს. თბილისის მთავრობას კი, სურს ტრანსპორტმა თავისი თავი შეინახოს და მეტიც, მომგებიან ბიზნესად აქციოს. ეს იმ ფონზე, როცა ქვეყანაში ისედაც მძიმე სოციალური ფონია, ბოროტებაა, – განაცხადა აბაშიძემ.

მისივე განმარტებით, წყლის ტარიფისა და მგზავრობის საფასურის გაზრდა მოსახლეობის ისედაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს, რის გამოც, მისი ფრაქცია ამ საკითხზე საკრებულოში სერიოზულ მსჯელობას აპირებს.

ჯი-ეიჩ-ენი

**შეფასება**

# „ნატო-ევროკავშირის გადაწყვეტილებები სამხედრო დამნაშავე სააკაშვილის უდიდესი გამარჯვება და ევროპის დიდი მარცხია“



**ინტერვიუ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთან, პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორ, პოლიტოლოგ სერგეი მარკოვთან.**

**— საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან დადო პირობა, რომ საქართველო საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად ძალას არასოდეს გამოიყენებს. როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?**

— აღნიშნული განცხადება პიარია ერთის მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რომელიც საქართველოსგან რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას მოითხოვს, და მეორეს მხრივ, ამომრჩეველთა წინაშე, რომლებიც, ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების თანახმად, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ასევე ემხრობიან. შესაბამისად, ჩვენ ამ განცხადების, რა თქმა უნდა, არ გვჯერა, რამდენადაც კარგად გვახსოვს სააკაშვილის ანალოგიური დაპირებები 2008 წლის 7 აგვისტოს და ის, თუ რა მოჰყვა ამას სულ რამდენიმე საათში. მსგავს განცხადებებს აკეთებდა სააკაშვილი მაშინაც კი, როდესაც ტანკები უკვე ცხინვალისკენ გადაადგილდებოდნენ, რათა ცხინვალისა და რუსი სამშვიდობოების მისამართით აგრესია დაეწყოთ. ჩვენთვის სააკაშვილი პათოლოგიური მატყუარაა. ჩვენ მას მხოლოდ მაშინ დავუჯერებთ, როდესაც მის სიტყვებს იურიდიული ფორმა ექნება. აუცილებელია, შესაბამისი შინაარსის შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან გაფორმდეს, სააკაშვილი კი ამაზე კვლავინდებურად უარს ამბობს და აცხადებს, რომ მსგავსი ხელშეკრულება მხოლოდ რუსეთთან გაფორმდება, რომელმაც თითქოსდა საქართველოს ოკუპაცია განახორციელა. ამით სააკაშვილი ჩრდილოეთ კორეელი ლიდერების იდეას იმეორებს, რომელთაგანაც მსოფლიო საზოგადოება სამხრეთ კორეასთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს. ასეთი პოზიცია აზრს მოკლებულია. საქართველო-რუსეთს შორის მსგავსი ხელშეკრულება არასოდეს გაფორმდება.

**— თუ საქართველოს ხელისუფლება მსგავს ხელშეკრულებას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან გააფორმებს, ამით ის საკუთარი რეგიონების დამოუკიდებლობას აღიარებს...**

— თქვენ უბრალოდ კარგად არ გესმით ეს ყველაფერი. ამის პრეცედენტი სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს. მთელმა რიგმა ქვეყნებმა მსგავსი ხელშეკრულება გააფორმეს, თუმცა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდელობა არ ულიარებიათ. მაგალითად შემიძლია, კვიპროსის, თურქეთის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ კვიპროსის სიტუაცია მოგიყვანოთ.

**— საქართველოს პრეზიდენტმა ევროპარლამენტში გამოსვლისას კავკასიაში მშვიდობის დამყარების აუცილებლობაზეც ისაუბრა. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება კავკასიის მიმართ ახალი ინიციატივებით გამოდის. როგორ შეაფასებთ კავკასიასთან მიმართებაში საქართველოს ბოლოდროინდელ პოლიტიკას?**

— კავკასიასთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკა პროვოკაციულია. ბოლო ათი წლის მანძილზე, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველო მილიტარიზაციის კუთხით არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ევროპაში ჩემპიონად იქცა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სააკაშვილის სიტყვები მის ქმედებებს ეწინააღმდეგება. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში განხორციელებული პროვოკაციის შემდეგ დასავლეთმა შეიარაღების გაყიდვა მკვეთრად შეამცირა. ამჟამად სააკაშვილს სურს, კიდევ ერთი პროვოკაცია მოაწყოს და სოჭის ოლიმპიადა ჩაშალოს. ამ მიზნით იგი მსოფლიოს მასშტაბით დარბის და აცხადებს, რომ ეკოლოგიური მიზეზებისა და ჩერქეზი ერის გენოციდის გამო საჭიროა, უარი ითქვას ოლიმპიადაზე. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ქართული სპეცსამსახურები სააკაშვილის ბრძანებით ამერიკელების მიერ გამოყოფილ ფინანსურ დახმარებას „ალ-ქაიდასთან“ უშუალო კავშირში მყოფი რადიკალი ისლამისტი ტერორისტების მხარდასაჭერად ხარჯავენ. გამოდის, რომ სააკაშვილი ამერიკული ფულის „ალ-ქაიდასთვის“ მიმწოდებელი არხია.



**— ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის რუსეთის ხელისუფლებისგან, რომ საქართველო „ბოევიკებს“ ამზადებს, რომლებიც შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ხვდებიან. ამასთან, რუსული მხარე არასოდეს უთითებს, კონკრეტულად სად ამზადებენ ტერორისტებს და არც შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით იწუხებს შემდგომში თავს...**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ჯერჯერობით რუსულ მხარეს მტკიცებულებები მართლაც არ გააჩნია. დღეისათვის მხოლოდ ირიბი მტკიცებულებები გვაქვს იმის შესახებ, რომ საქართველო ასეთ ძალებს მხარს უჭერს. შემიძლია, გითხრათ, რომ ამ მიმართულებით რუსული სპეცსამსახურები გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ, რათა უახლოეს მომავალში მსგავსი მტკიცებულებები მოიპოვონ და ფაქტები ოზამას მაგიდაზე დაიდოს.

**— საუბრის დროს აღნიშნეთ, რომ საქართველოს ხელისუფლება სოჭის ოლიმპიადის ჩაშლას ცდილობს. როგორ ფიქრობთ, შესწევს კი საქართველოს ხელისუფლებას ძალა მის ჩასაშლელად?**

— რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას არაფერი გამოუვა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სააკაშვილი საკუთარ განცხადებებს საქმით ეწინააღმდეგება. ის აცხადებს, რომ რეგიონში მშვიდობა სურს და ამავე დროს, სოჭის ოლიმპიადის ჩაშლას ცდილობს...

**— მინდა, ირანთან მიმართებაში საქართველოს ბოლოდროინდელ პოლიტიკაზეც გკითხოთ. როგორ აფასებს მოსკოვი თბილისისა და თეირანის დაახლოების მცდელობას?**

— რუსეთი ამ მოვლენებს სრულიად მშვიდად, პოზიტიურადაც კი აფასებს. ირანი ეკონომიკურად ძალზე საინტერესო ქვეყანაა, ამდენად არ გვიკვირს და განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ საქართველო მასთან დაახლოებას ცდილობს. ჩვენ ასევე მივესალმებით საქართველოს გადაწყვეტილებას ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმების თაობაზე და ზოგადადაც, ვთვლით, რომ სავიზო რეჟიმი მსოფლიოს ქვეყნებს შორის არ უნდა არსებობდეს.

**— სააკაშვილმა რუს კოლეგას პირდაპირი მოლაპარაკებები შესთავაზა და განაცხადა, რომ რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. რამდენად რეალურია მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებები?**

— დღეს ეს ნაკლებად სავარაუდოა. რეალურად სააკაშვილს რუსეთთან მოლაპარაკებები არ სურს, იგი მხოლოდ საკუთარ პიარზე ფიქრობს და ჩვენ მას ამაში, რა თქმა უნდა, არ დავეხმარებით. სააკაშვილი მსგავს განცხადებებს დასავლეთისთვის აკეთებს, რომელიც საქართველოს სხვა შემთხვევაში მხარს აღარ დაუჭერს. ბოლო მოვლენებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს უკვე სხვაგვარად უყურებს. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის მხოლოდ განსაზღვრულ საკითხებზე.

**— მოდით, რეალურად გადავხედოთ ბოლო მოვლენებს: ევროკავშირმა მიიღო განცხადება, რომელშიც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებადაა მოხსენიებული. მანამდე ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ასევე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზეა საუბარი...**

— ამ გადაწყვეტილებებს სამხედრო დამნაშავე სააკაშვილის უდიდეს გამარჯვებად და ევროპის დიდ დამარცხებად ვაფასებ, რამდენაც ეს უდიდესი შეცდომა და ფაქტების გაყალბებაა. მსგავსი რეზოლუციები და განცხადებები კავკასიის რეგიონში სტაბილურობას ხელს უშლის. სააკაშვილმა ეს საკუთარი მომხრეების წყალობით მოახერხა, რომლებმაც მას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიაში მხარი დაუჭირეს. დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირი და ნატო ამ შეცდომას უახლოეს მომავალში მიხვდებიან.

**ლევან ჭითანავა,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

**სამართალი ქართულად**

# „კანონებს იღებენ ისინი, ვისაც ცხოვრებისეული გამოცდილება არ აქვთ“

**საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის მიღება უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების ინტერესებიდან, უნდა შეესაბამებოდეს მოქალაქეთა და არა ცალკეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ინტერესებს.**

სამწუხაროდ ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე ნორმატიული აქტი, კანონი უფრო მორგებულია სახელმწიფოს სამოხელეო დაწესებულების ინტერესებს, ხოლო მოქალაქეთა ინტერესები კი უგულებელყოფილია. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ზუგდიდელი ადვოკატი **მებრძოლ ჭკადუა,** რომელსაც სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება გააჩნია. „დღეს ნებისმიერ პიროვნებას სჭირდება სანოტარო მომსახურება. მინდობილობის აღების შემთხვევაში მომსახურების ღირებულება თუკი რამდენიმე თვის წინ ღირდა 3 ლარი, დღეს 15 ლარია. მოქალაქეები ხშირად მიმართავენ სასამართლოს სარჩელით ან სხვა სახის განცხადებებით. განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი 25, 50, 100 და მეტი ოდენობის ლარი. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც განცხადების ან სარჩელის შემტან პირს უბრუნდება ბაჟის თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ. თუკი თანხის შეტანა ადგილობრივ ბანკში ყოველგვარი პრობლემისა და გართულების გარეშე ხდება, მისი გამოტანა უკვე მიუღწეველია, პიროვნება უნდა ჩავიდეს თბილისში, გამოცხადდეს სათაო ბანკში, წარადგინოს სათანადო დოკუმენტები და მიიღოს კუთვნილი თანხა. თანაც სათაო ბანკში ორი პირი უნდა გამოცხადდეს, ვინც თანხა შეიტანა და ის ვისაც თანხა დაუბრუნა სასამართლომ. თუკი ეს პიროვნებები დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები არიან, გამოდის რომ მათ ორჯერ მეტი რაოდენობის თანხის დახარჯვა უწევთ. ასეთ შემთხვევაში ისინი იძულებულნი ხდებიან ხელი ჩაიქნიონ და უარი თქვან თანხის მიღებაზე. სასამართლოებს ხშირად უხდებათ ასევე მოქალაქეთა შორის ისეთი დავების განხილვა, რომელიც ეხება ვალის ამოღებას. როდესაც მოვალე დროულად არ იხდის დავალიანებას, მევალე იძულებული ხდება სასამართლოს მიმართოს. მოსარჩელე ვალდებულია განაცხადოს სახელმწიფო ბაჟი სათაო თანხის 3 პროცენტის ოდენობით, რაც ხშირ შემთხვევაში 300-500 ლარს აღწევს. სასამართლო ამგვარი ბაჟისგან არც სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებსაც არ ათავისუფლებს. სინამდვილეში ასეთი კანონების მიღება ხდება იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომლებსაც ცხოვრებისეული გამოცდილება არ გააჩნიათ, არ იცნობენ ადამიანებს, მათ ყოფას, საარსებო პირობებს, თვითონ კი უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხელფასებით და სახელმწიფოსგან სარგებლობენ ყოველგვარი მატერიალური სიკეთით, თავიანთი მდგომარეობით გამომდინარე საზღვრავენ სხვათა მდგომარეობასაც. — აცხადებს ადვოკატი მებრძოლ ჭკადუა.

საქართველოში ამგვარი კანონების მიღების დროს კანონმდებლები იყენებენ ევროპულ სახელმწიფოებში არსებულ პრაქტიკას, სადაც მართლაც დიდია ჯარიმების ოდენობა, მაგრამ იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ევროპულ სახელმწიფოებში ადმინისტრაციული დარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმა ოჯახის შემოსავლის რამდენიმე პროცენტს შეადგენს, ჩვენთან კი ჯერ ეს ჯარიმა ბევრად აღემატება საოჯახო ბიუჯეტს.

**ლადო ქირია.**
ზუგდიდი

**წკეპლიკა**

# თბილისიდან ქუთაისში...

**დაიბარა თურმე საქართველოს პრეზიდენტმა თბილისის მერი და ეუბნება:**

— გიგი-ბატონო! ქუთაისში პარლამენტისა და მთავრობის გადატანა მჭირდება რაც შეიძლება მალე! თუ დავრჩი უმაღლეს პირად, მოგჭამა სათბილისო ჭირი მაგ პარლამენტმა და მთავრობამ! თუ გადამაყენეს, ახალი პრეზიდენტი დაგიბრუნებს მაშინ; თუ ვიქენით ორივე, თბილისს ქუთაისში გადავიტან და ქუთაისს თბილისში გადმოვიტან, იცი შენ ჩემი ხუშტურების ამბავი...

ადგა გიგი, „გამოუტანა“ პარლამენტი და მთავრობა...

ხუმრობა იქით იყოს და, ვაითუ მერე ეგ პარლამენტიცა და მთავრობაც უკან გადმოსატან-დასაბრუნებელი გახდეს, თანაც აქაური შენობა გაყიდული დახვდეს და ახლის აშენება შეიქნეს საჭირო — რას შობი მაშინ, საცოდავ ქვეყანას სადა აქვს ამდენი ხარჯის და დავიდარაბის თავი თუ ფრაკი...

კაცო, ეს საპარლამენტო უმრავლესობაც რომ გაჩუმებულა ამ გადატანაზე და ცხვრის ფარასავით მიყვებ-მოყვება თავის სარქალიანა (დავით ბაქრაძიანაძ მიხეილ-ბატონს, ამას რაღა ქვია — უმრავლესობა, უარესობა თუ უფარესობა?..

აქეთ კიდევ მეც ჩემი დარდი მკლავს... თბილისიდან ქუთაისში მიმავალმა პარლამენტმა, თბილისიდან ქუთაისში მიმავალმა მთავრობამ ლამის წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარი დამავიწყონ და რა სჭირს გალაკტიონს ჩემი დასავიწყარი!..

**ლუკა გორგაძე**

**ინფორმაცია**

## მომავალი წლისთვის ყველა პირველკლასელს კომპიუტერი ექნება



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2011 წელს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელისთვის შეისყიდის პორტატულ კომპიუტერებს. კომპიუტერები მოსწავლეებს უსასყიდლოდ გადაეცემათ.**

**ამის შესახებ განცხადებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.**

**კომპიუტერში ჩატვირთული იქნება როგორც სასწავლო პროგრამები ქართულში, უცხო ენაში, მათემატიკასა და ლოგიკაში, ასევე სასკოლო და კლასგარეშე სახელმძღვანელოები და სასწავლო შემეცნებითი თამაშები.**

**პორტატული კომპიუტერების შესყიდვის დროს უპირატესობა მიენიჭება საქართველოში წარმოებულ კომპიუტერებს.**

ХО-ЭИБ-ЭНО

№ 220. პარასკევი, 26 ნოემბერი, 2010 წელი.

◎ ვაი, ჩვენს პატრონს!



# ლისაბონი და სტრასბურგი – შიდა მოხმარებისთვის, საქართველო კი – გარეშეთა სახმარად!

**ბურებიღა გვაკლდნენ, სრული ბედნიერებისთვის და ეს ოცნებაც აგვიხდა! დიდი მადლობა მიშას და სანდრას!**

დიახ, ბატონებო! სწორედ ასეა ჩვენი საქმე და ამიტომაც არ დავსვი წერილის სათაურში დღეს ქართულ პრესაში ერთობ მოდური კითხვის ნიშანი.

ლისაბონში საქართველოს, როგორც ჩვენში აუხდენელ, უტოპიურ რამეზე იტყვიან, **როდინობის კვირაში დაჰპირდნენ ნატოში მიღებას და ამ მწარე რეალობის გადაფარვას პროპაგანდისტული ხმაურით ცდილობენ მძლავრი ნაცმიშავიზიები ისეთი ტერმინებით, როგორიც არის: „პირველად ისტორიაში“, „ისტორიული სამიტი“, „უპრეცედენტო“ და ა. შ.**

(შეჰპირდნენ ნატოში, ეს რუსეთია! თუმცა რაღა შეჰპირდნენ? შეჰპირდნენ კი არა, მგონი თავად რუსეთი მიიღეს ნატოში და ეგ არის. ისე, ხუმრობა იქით იყოს და, პრაქტიკულად ასე არ არის? – ისტორიაში მართლაც პირველად რუსეთი აღარ განიხილება როგორც ნატოს პოტენციური მტერი! ამას პლუს ობამას მიერ სააკაშვილისთვის „ყურის აწევა“...

ეს რომ ასეა, იქ გამოჩნდა, სტრასბურგში, სადაც, ლისაბონისგან განსხვავებით, მთლად უპრეცედენტო არა, მაგრამ მაინც, რადგანაც ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის წარმომადგენლისთვის ორჯერ ევროპარლამენტის ტრიბუნა მხოლოდ ბუდისტების სულიერი ლიდერის დალაი ლამასთვის დაუთმიათ – ჰოდა, ახლა ქართველი ნაცების სულიერ ლიდერს, ჩვენს ბედნიერ პრეზიდენტს დაუთმეს, სადაც ნახევარი საათი ტრაბახობდა ჩვეულ სტილში, მაგრამ ეგ იქით იყოს, – საქართველო რუსეთს ფეხქვეშ გაუფინა.

ის, რომ რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დიალოგის იშტაზე არიან მოსული, ეგ დიდი ხანია აღარ გვიკვირს. თუმცა ის „დიდი ხანიც“ კარგად გვახსოვს, როდესაც იგივე აზრის გამო ოპოზიციას სულ მოღალატეებს, კრემლის აგენტებს უძახდნენ და ახლა ცალმხრივად დადო პირობა აფხაზეთ-ცხინვალის მიმართულებით ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

**ჩვენო, – ბრძანა მიშიკომ, – დანარჩენ 80 პროცენტ ტერიტორიაზე თავდაცვის უფლებას ვიტოვებთ! ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ოკუპირებულ 20 პროცენტზე პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც ვამბობთ უარს, მაგრამ სამაგიეროდ რაც შეგვრჩა, იქ რასაც მინდა იმას ვიზამთო და არ დამიწყოთ ახლა დემოკრატია და თავისუფალი არჩევნებიო! – პრაქტიკულად ეს თქვა სააკაშვილმა...**

ცოტა ხანში რუსეთს ზარ-ზეიმით მიიღებენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ესეც ობამა-სააკაშვილის შეხვედრის შედეგი იქნება. თუ არა და ვნახოთ – აღდგომა და ხვალეო!

**ჰო, უკრაინაზე დამავიწყდა მეთქვა – ნატოში გაწევრების სურვილზე უარის სანაცვლოდ, ევროკავშირსა და უკრაინას შორის რეალური მოლაპარაკებები დაიწყო მათ შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ, რაც უმოკლეს ვადაში ამოქმედდება, ანუ იმ ევროპაში ივლიან თავისუფლად ჩვენი უკრაინელი ძმები, სადაც ქართველები მათი, ევროპელების, უკანალების მწმენდავებად მუშაობენ არალეგალურად და, თუ წაასწრეს, არც ამ „საპატიო საქმეს“ ანებებენ – „პაჩკა-პაჩკა“ უკეთებენ დეპორტაციას.**

აგერ გუშინ „მაესტროს“ ეთერით ურწმუნო თომებისთვისაც სარწმუნო გახდა, რომ რამდენიმე თვეში დაიწყება სამხრეთ აფრიკელი ბურების 40 ათასი ოჯახის ჩამოსახლება, რაც დაახლოებით 150 ათასი სულია.

ბური თურმე ზულუსი ზანგების ენაზე ფერმერს ნიშნავს და სოფლის მეურნეობის აღორძინების პირობით უპირებენ ჩამოსახლებას და მიწების მუქთად მიცემას, რადგანაც თურმე... კომუნისტურმა რეჟიმმა ქართველ გლეხს მიწასთან ურთიერთობა დაავიწყა.

ბური სხვა რამესაც ნიშნავს. კერძოდ იმას, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ჰოლანდიიდან ჩავიდნენ აფრიკაში. შემდეგ, XIX საუკუნეში, ჰოლანდიელებმა ადგილობრივ ზანგებთან ერთად ინგლისელი კოლონიზატორები გაყარეს და როცა ინგლისის იმპერიისგან განთავისუფლდნენ, იმავე ზანგებს დაერივნენ, რაც მთელ მე-20 საუკუნეში აპარტეიდის სახელით არის ცნობილი.

**აგერ სულ ახლახან, ნელსონ მანდელას მეცადინეობით, ის თოხი და ბარი, რითი მონური მუშაობის უფლებაც დაუტოვეს საკუთარ მიწაზე ზანგებს, ის თოხი და ბარი უკანალში გაუკეთეს ბურებს და ახლა ზანგებმა დაამყარეს „აპარტეიდი“ უმცირესობაში დარჩენილი ჰოლანდიელი ბურებისთვის.**

ჰოდა, ისინიც გარბიან აფრიკიდან და აგერ საქართველომ შესთავაზა თავშესაფარი. ის კადრებიც ვიხილეთ, თუ როგორ უმასპინძლეს „დასაზვერად“ ჩამოსულ ბურებს ვანო მერაბიშვილმა და ჰოლანდიელმა პირველმა ლედიმ.

ამ თემას უფრო ვრცლად აუცილებლად შევეხებით უახლოეს მომავალში. მანამდე კი – **მიშა, ცოლოურში, სასიდედრ-სასიმამროში, ჰოლანდიაში ჩაასახლე ბურები, იქ კიდევ უფრო ააყვავონ სოფლის მეურნეობა!**

**დავით მხეიძე**

◎ დაფიქრება გვმართებს!

**დამეთანხმებით, ეს ის საკითხი არ გახლავთ, რომელსაც ჰაიჰარად, ერთი ხელის აქნევით გადავწყვეტთ. ვიდრე საბოლოო სიტყვას ვიტყოდეთ, დიდი დაფიქრება გვამართებს, რათა ნაჩქარევი, სპონტანურად მიღებული არჩევანი შემდეგ, საუკუნეების მანძილზე, სანანებელი არ გაგვიხდეს. არადა, ჩვენი ცანცარა ხელისუფლების ხელში (პრეზიდენტის თავმჯდომარეობით), რომელიც ქვეყანაში ჩანჩქერივით მოდგაფუნე რეფორმების წყალობით, ხან შვეიცარიისკენ მიგვერეკება, ხან – სინგაპურისკენ და ხანაც – ორივესკენ ერთად, ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს.**

აკი, საზღვარგარეთულ პრესაში უკვე გამოჩნდა კიდეც იმის მასიგნალებელი სტატიები, რომ მსოფლიოს ნომერ პირველი რე-

# აირჩიეთ, რომელი გვსურთ, ვიყოთ შვეიცარია თუ სინგაპური?



ფორმატორი ქვეყნის ჩემპიონი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოკლე პერიოდში საქართველოს შვეიცარიულ მოდელზე გადაყვანას (ოღონდ სინგაპურის ელემენტებითძ აპირებს. ჰოდა, სულაც არ გაგიკვირდეთ, მიშამ ერთ მშვენიერ დღეს, როგორც სჩვევია ხოლმე, სპონტანური გადაწყვეტილება მიიღოს და ეს ჩვენი უძველესი დედაქალაქი თბილისი, თავის შუშისხიდიან-ჩანჩქერებიანად, შვეიცარიაში, ხოლო მომავალი დედაქალაქი – ქუთაისი, თავის პარლამენტიანად, სინგაპურში აღმოჩნდეს.

ასეთი „აღმოჩენა“ მავანმა პრეზიდენტ სააკაშვილის მორიგ ცრუპენტელობად და ფანტაზიად, ანუ, როგორც უკეთეს შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, მის არაადეკვატურ აზროვნებად რომ არ მონათლოს, ალბათ, უპრიანი იქნება, რეალობას დავუბრუნდეთ და ტყუილ-მართალი მის წიაღში განვსაჯოთ. ჰო და ჰო, არ გაინტერესებთ, როგორია ეს რეალობა?

იმათ გულის გასახარად და საამებლად, ვისაც საქართველოს სინგაპურიზაცია მოსწონს, ურიგო არ იქნება, მოვიშველიოთ ოფიციალური მონაცემები, რამაც ბევრი ქვეყნის მთავრობა, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებაც, აიძულა, რომ აზიის ამ პატარა ქალაქ-სახელმწიფოს მიბაძოს. ეკონომიკის ექსპერტთა და ცნობილ სპეციალისტთა განმარტებით, სინგაპურის ხელისუფლებამ იმ წარმატებას, რითაც ასერიგად მოხიბლა მთელი მსოფლიო, უპირველეს ყოვლისა, მიაღწია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით. ამ მიმართებით ქვეყანაში შეიქმნა სააგენტო Spring – მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალური სააგენტო, რომელიც ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს ბიზნესის განვითარებასა და საწარმოო პოტენციალის ზრდაში.

ვინ არიან ამ ბიზნესის წარმომადგენლები? უპირველესად ვაჭ-

რობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ტურიზმის სფეროთა მუშაკები. ეს სფეროები მოსახლეობის სამუშაო ადგილების 70-80 პროცენტს შეადგენს, ქვეყნის საშუალო ფენა კი მთლიანი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტია. განსაკუთრებული შეღავათებია დაწესებული იმ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც იწყებენ საქმიანობას. ვერ გეტყვით, რამდენ დღეს ანდომებენ ბიზნესმენები ასეთი საწარმოების რეგისტრაციას, მაგრამ ხელისუფლება ყოველდღიურად რომ ზრუნავს მათთვის წარმატებული სამუშაო გარემოს შექმნისთვის, ეს ცხადზე უცხადესია. რეალობას სად გავექცევით – დღეს სინგაპურში ფუნქციონირებს 140 ათასზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტი, რაც ქვეყნის წარმოების 90 პროცენტის ტოლფასია. ახლა მათი ხელშეწყობისთვის შექმნილ სპეციალურ პროგრამებს არ იკითხავთ? შეღავათიანი კრედიტები, სპეციალური სესხები, საკრედიტო რისკების დაზღვევა და სხვა სუბსიდიები მათ საშუალებას აძლევს, საკუთარი შემოსავლებიც გაზარდონ და სახელმწიფო ბიუჯეტისაც.

ახლა ვნახოთ რა ხდება ჩვენთან, დამოუკიდებლად ახლად ფეხადგმულ, სინგაპურიზაციას მოწყურებულ ქვეყანაში. იმის მაგივრად, რომ დახმარებოდნენ, ხელი წაეშველებინათ ბიზნესის წამომწყები მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლების თავკაცებმა ყოველი ღონისძიებით იბრძოლეს მათი განადგურებისთვის და ამას მიაღწიეს კიდეც. ქართული მეწარმეობის განვითარებას ამ მხრივ გამორჩეული ღვაწლი დასდეს ყოფილმა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა – ნოღაიდელმა და ბენდუქიძემ, რომელთაც გარდა იმისა, რომ ქვეყნის მეწარმეობა დრაკონული გადასახადებით წელში გაწყვიტეს, გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური, მცირე მეწარმეობის დამცველი ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, რითაც სარბიელი გაუხსნეს მონოპოლისტთა ბატონობას და ბაზარზე არაჯანსაღ კონკურენციას.

და აი, შედეგიც. 2010 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის მთლიან ბიზნესში მსხვილი ბიზნესის წილი 83,3 პროცენტია, საშუალო ბიზნესის – 8,5 პროცენტი, ხოლო მცირესი – 8,2 პროცენტს არ აღემატება. გამოდის, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი 20 პროცენტსაც ვერ აღწევს, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70-80 პროცენტს უტოლდება.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

# „ღორის გრიპი“ საშიშროებას ვერ შეგვიქმნის

**26 წლის ქალბატონს ე. წ. „ღორის გრიპი“ ვირუსი დაუფიქსირდა.**



**როგორც დაავადებითა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ განაცხადა, ინფიცირებულის მდგომარეობა სტაბილურია. იმნაძის თქმით, მედიკოსები პირველი შემთხვევის დაფიქსირებას ნოემბრის ბოლოს ელოდნენ, თუმცა დაავადების გავრცელება და რაიმე საფრთხე გამოირიცხება.**

**ამ ფაქტზე კომენტარი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სანდრო ურუშაძემ გააკეთა.**

**– ვირუსთან საბრძოლველად ქვეყანა მაქსიმალურად მზადაა. ვირუსის გავრცელების არანაირი საფრთხე არ არსებობს. ქვეყანა მომარაგებულია საკმარისი რაოდენობის მედიკამენტებით. ერთიანი შემთხვევები არ უნდა გახდეს შეშფოთების საფუძველი. ერთი რამე მინდა ვურჩიო საზოგადოებას, რომ ეხლა არის გრიპის სეზონი და რაიმე გართულების შემთხვევაში, მით უმეტეს ბავშვის ასაკში, სასწრაფოდ მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს, – განაცხადა სანდრო ურუშაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

საარსებო მინიმუმი

# სტატისტიკის ლაბირინთები და სინამდვილე

**ნათქვამია, სტატისტიკამ ყველაფერი იცისო. ეს, ალბათ, მართლაც ასეა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად რისი გამხელაც არ სურს, ანდა რამეზე ყურადღების გამახვილება თუ არ უნდა, ამის თაობაზე არ ილაპარაკებს. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის უკიდურესი სიდუხჭირის მიღმა მრავალი ისეთი რამ რჩება, რაზეც სტატისტიკა ყურადღებას მაინცდამაინც არ ამახვილებს.**

თავდაპირველად ვიტყვით, რომ იმ ქვეყნებში, რომელთა ოჯახის ღირსეული წევრობის დიდი სურვილი გვაქვს, მოსახლეობის ყოველთვიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ მინიმუმს **სამომხმარებლო კალათის** მიხედვით ანგარიშობენ, რომლის სტრუქტურა სასურსათო და არასასურსათო საქონლის, ასევე მომსახურების ხარჯისგან შედგება, თუმცა ამის დათვლის მეთოდოლოგია ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება. მონაცემები, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვიურია, ამდენად წლის განმავლობაში სამომხმარებლო კალათის ღირებულება, ინფლაციური პროცესებით ანდა სხვა მიზეზებით გამოწვეული ფასთა ცვალებადობის გამო, ერთმანეთისგან განსხვავდება ხოლმე, ზოგჯერ მნიშვნელოვნადაც. ამასთან, მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სამომხმარებლო კალათის შემადგენლობას, საქონლისა და მომსახურების ოდენობას დროდადრო გადასინჯავენ მათი გაზრდის მიზნით.

ჩვენში კი, ამ მხრივ, სტატისტიკურ მონაცემებს **„შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების“** ფორმა აქვს მიცემული. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური განმარტებით, **„საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე — ესაა კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების ოდენობის, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას“.**

საგულისხმო განმარტებაა, მით უმეტეს თუ თუნდაც ბოლო თვეების დინამიკას გავითვალისწინებთ: **„საარსებო მინიმუმის“ ღირებულება ივლისში 128,4, აგვისტოში — 134, სექტემბერში — 140,9, ოქტომბერში კი — 145,5 ლარი იყო.** სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოციალური სტატისტიკის სამსახურის უფროსის **გიორგი კალაკაშვილის** განმარტებით, აღნიშნულ კალათაში გათვალისწინებული არ არის არასასურსათო საქონლისა და კომუნალური მომსახურების ღირებულება, რომელიც სასურსათო საარსებო მინიმუმის 30 პროცენტის ოდენობით იგულისხმება, თუმცა ის, თუ რა სახეობის მომსახურებასა და საქონელს ითვალისწინებს იგი, არავინ უწყის. ამდენად, ამის დასადგენად ცოტა ხნის წინათ გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიში“ გამოქვეყნებული სამომხმარებლო კალათის შემადგენლობის ნუსხა გამოვიყენეთ, რომლის გაზრდას რუსეთში 2012 წლისთვის გეგმავენ. აუცილებელი არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ნუსხაში შედის ზედა ტანსაცმელი, კაბა, კოსტიუმი, თეთრეული, წინდები, ფეხსაცმელი, რვეულები, კალმისტრები, საოჯახო საქონელი, ჩამოთვლილი საქონლის ღირებულების 10 პროცენტის ღირებულების წამალი, 18 კვადრატული მეტრის საცხოვრებლის ღირებულების გადასახადი, გათბობა, წყალი და გაზმომარაგება, ელექტროენერგია, ტრანსპორტი, ჩამოთვლილი მომსახურების ღირებულების 5 პროცენტი კი კულტურაზე, 3 პროცენტი — ტელეფონზე, 15 პროცენტი — კრედიტსა და სხვაზე არის გათვლილი.

გავიმეორებთ, რომ ყოველივე ამისთვის საჭირო თანხის მომატებას გაისად აპირებენ, თან დასძენენ, რომ სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა, ოდენობა და ფასები აგერ უკვე 5 წელია არ გადაუსინჯავთ.

ახლა, მოდით ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში. ფაქტობრივად გამოდის, რომ **ყველა არასასურსათო საქონლისთვის და კომუნალური მომსახურებისთვის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცს ივლისში 38,52, აგვისტოში — 40,2, სექტემბერში 42,27, ოქტომბერში კი 43,65 ლარი უნდა გაეთვალისწინებინა.** ამ შემთხვევაში ყურადღებას კომუნალურ გადასახადებზე გავამახვილებთ, თანაც მხოლოდ, იმათზე, რომლებიც, როგორც ოფიციალურ განმარტებაშია აღნიშნული, „ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვისაა“ საჭირო. ესენია გაზი, ელექტროენერგია და წყალი. იმაზე, რომ ოჯახის მარჩენლისთვის და მისი ოჯახის წევრთათვის სხვა უამრავი რამაა საჭირო, აღარაფერს ვიტყვით იმ მიზეზით, რომ იმის თაობაზე ლაპარაკი, რაც ყველამ, ვისაც თვალში ნაცარი არა აქვს შეყრილი, კარგად იცის, არ ღირს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ **„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსაო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის № 111- ნ ბრძანების შესაბამისად“.** მაშასადამე, ამ „საარსებო მინიმუმის“ მოთხოვნები თითქმის შვიდნახევარი წლის მანძილზე არ გადაუსინჯავთ, კუს ტემპით იცვლება მხოლოდ მისი ღირებულება, რომელიც რეალურისგან სრულიად მოწყვეტილი რომ არის, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების დონის მიხედვით შეგვიძლია განვსაჯოთ.

რაც შეეხება მეთოდიკას, **„თავდაპირველად ხდება მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს ხუთი ქალაქის — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის ფასების საფუძველზე. სასურსათო კალათის თითოეული პროდუქციისთვის საშუალო ფასის გაანგარიშება მთელი ქვეყნისთვის თითოეულ ქალაქში გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალო დათვლით ხდება“.**

მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის 40 დასახელების სურსათისგან შედგება. ნუსხაში, როგორც აღვნიშნეთ, შედის ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები კილოკალორიებით განსაზღვრული ენერგეტიკული ღირებულებით. ამ ნუსხაში კერძოდ, შედის (გრამობით)ძ, **ხორბლის პური (250), მისი ფქვილი (70), სიმინდის ფქვილი (40), ლობიო (20), ბრინჯი (10), ბურღული (მანანის, წიწიბურას და სხვ.) (10), მაკარონის ნაწარმი (15), ძროხის და ხბოს ხორცი (40), ღორის ხორცი (10), შინაური ფრინველი (20), ნედლი თევზი (40), ძეხვეული (10), რძე (150), მაწონი (25), ხაჭო (15), ყველი (20), ნადუღი (5), კვერცხი (0, 5), ცხოველური ცხიმი (კარაქი, ერბო) (12), მარგარინი (7), მცენარეული ზეთი (10), თესლოვანი ხილი (50), კურკოვანი ხილი (50), სუბტროპიკული ხილი, კარალიოკი (50), საზამთრო, ნესვი, გოგრა (50), კაკალი, თხილი, მზესუმზირა (15), პომიდორი (50), ხახვი (25), ნიორი (7), ბადრიჯანი (10), კომბოსტო (40), ჭარხალი (15), სტაფილო (15), კარტოფილი (150), საკონდიტრო ნაწარმი (5), ღვინო სამამულო (20), მარილი (8), ჩაი (2).**



ესაა და ეს. ამასთან დასამატებელი მხოლოდ ისაა, რომ საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად, სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0,7-ზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯის წილია და 70 პროცენტით განისაზღვრება. შესაბამისად არასასურსათო ხარჯი 30 პროცენტია. სწორედ ეს მაჩვენებელია საარსებო მინიმუმის ღირებულება შრომისუნარიანი მამაკაცისთვის მოცემულ თვეში. საქართველოში საარსებო მინიმუმის ოფიციალური მაჩვენებლები, ექსპერტთა საყოველთაო აზრით, რბილად რომ ვთქვათ, ოპტიმალური არ არის, მისი ოპტიმიზაციის თაობაზე კი აზრთა სხვადასხვაობიდან გამოვყოფდით **ადამიანის არსებობისთვის აუცილებელ სურსათზე ზღვრული ფასების დაწესებას, რადგან 145 ლარად არსებობა, ფაქტობრივად, მართლა მხოლოდ არსებობას და არასრულფასოვან ცხოვრებას ნიშნავს.** ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სადღეისოდ საქართველოს სურსათის ბაზარი, უმეტესად, მონოპოლისტ კომპანიებს კი უკავიათ, რომელთა პარპაშის აღკვეთა არავის სურს, თორემ ქმედითი ნაბიჯები, იმავე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საკითხები, აქამდეც გადაიდგმებოდა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზღვრული ფასების დაწესება სურსათის შავი ბაზრის წარმოქმნის საშიშროებას ქმნის.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთი რამის თქმა შეიძლება. დასაქმებულთა შორის ყველაზე მაღალი ანაზღაურება ჩვენში კერძო სექტორშია, ყველაზე დაბალი კი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სოფლის მეურნეობაში მომუშავეებს აქვთ. სტატისტიკური მონაცემებით, ფინანსურ სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1300 ლარზე მეტია, ხოლო 2009 წლის მიწურულისთვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (262,7 ლარი)ძ თევზჭერასა და მეთევზეობაში იყო.

ამრიგად, 1. **საფინანსო საქმიანობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი — 1302 ლარი; 2. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 850; 3. ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოება-განაწილებაში — 823; 4. უძრავი ქონებით ოპერაციებსა და იჯარაში — 749; 5. მშენებლობაში — 634,6; 6. სამთომომპოვებელ მრეწველობაში — 594,6; 7. კომუნალურ და სოციალურ მომსახურებაში — 588; 8; ვაჭრობაში, ავტომანქანების, საყოფაცხოვრებო დანადგარებისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში — 512,6; 9. დამმუშავებელ მრეწველობაში — 450,9; 10. ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაში — 446,7; 11. სასტუმროებსა და რესტორნებში — 361,5; 12. განათლებაში — 309,7; 13. სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში — 262,7; 14. თევჭერასა და მეთევზეობაში — 262,7.**

ამ ჩამონათვალის ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ ჩვენში შრომის ყველაზე მაღალი ანაზღაურება არა ეკონომიკის სამეწარმეო, არამედ მომსახურების სექტორებშია. ეს, თავის მხრივ, იმას მიანიშნებს, რომ ეკონომიკის განვითარება გულისხმობს არა გრძელვადიან ჩამოყალიბებულ გეგმებს, არამედ მოკლევადიან პერსპექტივებს, რაც, ყველაზე მეტად, სწორედ მომსახურების სფეროებშია შესაძლებელი.

**ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ თუ თუნდაც ზემოთ მოყვანილი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურების მაჩვენებლებით ვიმსჯელებთ, შრომისუნარიან ზრდასრულ მამაკაცს, მცირე გასამრჯელოსაც რომ ღებულობდეს, თავის წილად კიდევ ერთი ქალის ან ბავშვის მოვლა-პატრონობა შეუძლია.**

**თუ რამდენად რეალურია ზემოთ მოყვანილი მონაცემები და რამდენადაა შესაძლებელი ამ დაფინანსებით და სურსათის „რეკომენდებული“ ოდენობით ნორმალურად ცხოვრება, თავადაც განსაჯეთ, ბატონებო!**

ოთარ ტურაბელიძე

დაფიქრება გვმართებს!

# აირჩიეთ, რომელი გსურთ, ვიყოთ შვეიცარია თუ სინგაპური?

(მეხუთე გვერდიდან) გამუდმებული ლაქლაქისა და დაპირებების მიუხედავად, ქვეყანაში ვერ შეიქმნა საშუალო ფენა, ვერ დასაქმდა მოსახლეობა (მისი 50 პროცენტზე მეტი უმუშევარიაძ, მცირე მეწარმეებს კვლავ და კვლავ უწევთ რეკეტის პირობებში მუშაობა. სახელმწიფოს მიერ არჩეული მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს მხოლოდ იმ ცალკეული პირების ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც სახელმწიფომ ჩათვალა საჭიროდ. რაც უნდა საოცრად მოგვეჩვენოს, კვლავ გრძელდება ინდმეწარმეთა დაპატიმრებები და საწარმოთა დახურვები („კიდობნის“, „თერგის“, „პასაჟის“ 180-მდე მეწარმის დაკავება, ლილოს ბაზრობაზე ათეულობით სავაჭრო ობიექტის დალუქვა და სხვ.ძ.

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ამ „მიღწევების“ ფონზე, საქართველოს ჩემპიონა პრეზიდენტს წარამარა თვალი სინგაპურისა და შვეიცარიისკენ გაურბის? რატომაც არ გაექცევა ფრიად ავტორიტეტულ მსოფლიო ბანკის სპეციალისტთა დასკვნით თუ საქართველო მსოფლიოში პირველი რეფორმატორული ქვეყანაა და ბიზნესის კეთების სიადვილით მთელ დუნიაზე ბადალი არა ჰყავს, რაღა მაინცდამაინც სინგაპურს და შვეიცარიას უნდა ჩამორჩეს? მთავარია, მეწარმემ ბიზნესის დარეგისტრირება რამდენიმე საათში მოასწროს და შემდეგ მას მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ტურა, მთავრობისთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? არც არაფერი. მთავარია, რომ ჩვენ ყველანი (შვეიცარიელები, სინგაპურელები, ქართველები და სხვებიძ სიმდიდრე-სილატაკის მიუხედავად, ამ ცოდვილი დედამიწის შვილები ვართ და ფანტაზიორობა-ცრუპენტელობის უფლება ყველას თანაბრად გვაქვს.

ოთარ ხუციშვილი



## მრავალშვილიან დედებს ჩაგრავენ

**დედოფლისწყაროში მრავალშვილიანი დედები სხვა რაიონებთან შედარებით უამრავი პრობლემის წინაშე დგანან და თავს დაჩაგრულად მიიჩნევენ. მათი პრობლემების შესწავლისას გავარკვიეთ, რომ ოჯახების დიდ ნაწილს სახელმწიფოსგან რაიმე სახის დახმარება არასოდეს მიუღია. არადა, ასეთ ოჯახებს 4 და მეტი შვილი ჰყავთ. დედები უკიდურეს სიდუხჭირესა და აუტანელ ყოფაზე ლაპარაკობენ ვითარებას ისიც ართულებს, რომ ზოგ შემთხვევაში 5-შვილიან ოჯახს მარჩენალი გარდაეცვალა, მრავალშვილიან ქვრივ დედას კი მცირეწლოვანი ბავშვების აღზრდა დამოუკიდებლად უწევს, თუმცა, როგორც თავად ამბობს სახელმწიფოსგან თანადგომას საერთოდ არ გრძნობს, რაც უსამართლობის განცდას უმძაფრებს.**

სხვის ჭერს შეფარებული, ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის დედა, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში მცხოვრები 34 წლის ინგა ქარსამაული ამბობს, რომ მრავალშვილიანი დედებისთვის განკუთვნილი ვილი: „თუკი ისინი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს მოაწესრიგებენ, შესაძლოა, მათ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი ყოველთვიური დახმარება დაენიშნოთ, ამიტომ პირველ რიგში მათ დოკუმენტაცია უნდა განაახლონ".

სამწუხაროდ, ქარსამაულების ოჯახი დედოფლისწყაროში ერთადერთი მრავალშვილიანი ოჯახი არ აღმოჩნდა, რომელიც თავს დაჩაგრულად მიიჩნევს. ასეთების პოვნა ქიზიყის ამ მუნიციპალიტეტში სულაც არ გაგიჭირდებათ...

ჩხიკვაძეების მრავალშვილიან მარჩენალდაკარგულ ოჯახს საარსებო შემწეობა ახლახან შეუწყდა, 5 მცირეწლოვანი ბავშვის დედამ თამარ ჩხიკვაძემ განგვიცხადა, რომ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი დახმარება მიმდინარე წლის სექტემბრის შემდეგ აღარ მიუღიათ:

„7 სული ვართ, მე, 5 პატარა ბავშვი და ავადმყოფი დედა... აქამდე დახმარებას ვიღებდით, არ გვყოფნიდა, მაგრამ გამოკვებას მაინც ვახერხებდით, ახლა კი ბავშვებს ცარიელ პურს ვაძლევ ხოლმე, უგემურად ღეჭავენ და უკან მომიგდებენ ხოლმე... აღარ ვიცი რა ვქნათ. 40 ლარი დავალიანება გვაქვს და დენი შეგვიჭრეს, ვზივართ ასე სიბნელეში... გაზზე კი 800 ლარი დამიგროვდა, ვერ გადავიხადე და გაზიც შეგვიჭრეს. სიცივეში რომ სხედან ბავშვები, ცხვირი გაულურჯდებათ ხოლმე... ტირიან, მაგრამ ვერაფრით ვეხმარები... ერთადერთი შემოსავალი ჩემს ოჯახს მხოლოდ ის აქვს, რომ მხოლოდ 3 ბავშვი იღებს მარჩენალდაკარგულის პენსიას, ეგ არის და ეგ... სადაზღვევო კომპანია „ირაო" გვეხმარებოდა და ახლა მათაც უარი გვითხრეს. ვეღარც მკურნალობას ვახერხებთ... გამგებელთან შესვლა მინდოდა, ნიკოლოზ შანშიაშვილი ვერ ვნახე და მისმა მოადგილემ, ალექსანდრე ალუღიშვილმა უარით გამომისტუმრა, არადა დაწვრილებით ავუხსენი ჩვენი გაუსაძლისი ყოფა. სოციალური სააგენტოს მუშაობაში ჩვენ ვერ ჩავერევით რომ დახმარება აღგიდგეთო..."

როგორც გაირკვა, კანონში შესული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას უფლება მიეცა გარკვეულწილად ჩაერიოს სააგენტოს მუშაობაში, თუმცა როგორც ჩანს, გამგებლის მოადგილისთვის ან ეს ცვლილება არ არის ცნობილი, ანდა შეგნებულად სცადა მრავალშვილიანი გაჭირვებული დედის თავიდან მოშორება...

ამ საკითხზე კომენტარისთვის ალექსანდრე ალუღიშვილს რამდენჯერმე დავუკავშირდით, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არც ერთ ნომერზე არ უპასუხა.

უკიდურესად რთულ ვითარებაში ოჯახის ყველაზე ასაკოვანი წევრი, 68 წლის ნელი ბოსტოღანაშვილია, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაცია. თუმცა, ხელმოკლე ოჯახი მკურნალობის კურსის ჩატარებას ამ დრომდე ვერ ახერხებს. ოჯახს არც პოუწყდა. ისინი ამბობენ, რომ ხელისუფლებამ 7-სულიანი მრავალშვილიანი ოჯახი ღვთის ანაბარა, სრულიად უყურადღებოდ დატოვა.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივ ოფისში გავარკვიეთ, ხელმოკლე ოჯახის დახმარების შეწყვეტის მიზეზი ინვალიდი ბებია გახდა, რომელიც ვითომ თბილისში ერთ-ერთ ფირმაში იყო დასაქმებული. ამიტომ საარსებო შემწეობა გაუუქმდა: „დედაჩემი ვერც კი დადის, რაიონში გადაადგილებაც კი უჭირს და ამათი ფანტაზია ისე შორს მიდის, რომ ახლა თურმე ეს უნარშეზღუდული ქალი თბილისში დასაქმებულიც ყოფილა. როგორც გაირკვა, დედაჩემი ნელი ბოსტოღანაშვილი თბილისში შპს „დაფნა ჰა" და ასევე, შპს „ჰა"-ში იყო შტატით გაფორმებული და სწორედ ამიტომ შეგვიწყდა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი დახმარება. არ ვიცი ახლა რა გვეშველება. იმის ფულიც არ გვაქვს, რომ ჩვენი სიმართლე დავამტკიცოთ და დახმარების აღსადგენად სხვა ქალაქებში ვიაროთ. სხვა გამოსავალს არ გვიტოვებენ, უსამართლობას უნდა შევეგუოთ და ასე მშივრები დავიხოცოთ", – ამბობენ მრავალშვილიან ოჯახში და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გულგრილ დამოკიდებულებასა და უყურადღებობაში ადანაშაულებენ..

# „ბავშვებს ცარიელ პურს რომ ვაძლევ, უგემურად ღეჭავენ და უკან მომიგდებენ-ხოლმე"...



**„800 ლარი გაზის დავალიანება მაქვს, 40-დენის და ყველაფერი შემიწყვიტეს, საარსებო დახმარებაც 3 თვეა არ მიმიღია... ბავშვებს სიცივისგან ცხვირები ულურჯდებათ"...**

დახმარება არასოდეს მიუღია. იქვე ხაზს უსვამს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს არ ენდობა, ამიტომაც მათთან დახმარების სათხოვნელად აღარაფერზე მიდის.

უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ქარსამაულები არც სიღარიბის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობას იღებენ:

„მეუღლე ავადმყოფია, ამიტომ მუშაობას ვერ ახერხებს. ჯანმრთელობაც რომ უწყობდეს ხელს, სამუშაო ადგილს მაინც ვერ პოულობს, არადა ოთხი პატარა შვილი ხომ უნდა გამოვკვებოთ?... ბავშვები მშივრები რომ არ დაგვეხოცოს, იძულებული ვარ, ისინი უყურადღებოდ დავტოვო და ხანდახან საქონლის სამწყემსად ნახირში ვიარო-ხოლმე. ხან 5 ლარს მაძლევენ, ხან 10-ს და ასე წვალებით გაგვაქვს თავი. აბა რა ვქნათ, სხვა გზა არ მაქვს, – უიმედოდ აცხადებს მრავალშვილიანი დედა.

ინგა ქარსამაული ამბობს, რომ ბოლო დროს პირადობის დამადასტურებელი და ბავშვების დაბადების მოწმობებიც დაეკარგა, რის გამოც ვერც სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობენ, რაც მათ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს:

„საბუთები დავკარგე. იმის ფულიც არ მაქვს, რომ დოკუმენტაცია აღვადგინო და მცირე შეღავათებით მაინც ვისარგებლო. ახლა ჯარიმასაც მთხოვენ. თუმცა, მრავალშვილიანთათვის განკუთვნილი დახმარებები არც მანამდე მიმიღია. შეშა დარიგდა და არც ის შემახვედრეს, შარშანაც სიცივეში გამოვაზამთრეთ ბავშვები. წერილი პრეზიდენტთანაც კი გავგზავნე, მაგრამ პასუხის ღირსიც არ გამხადეს, ვართ ასე უპატრონოდ და უყურადღებოდ მიტოვებულები".

მრავალშვილიანი ხელმოკლე ოჯახის პრობლემის გარკვევა სოციალური მომსახურების სააგენტოში ვცადეთ. სააგენტოს დედოფლისწყაროს სამსახურის უფროსი ზურაბ ნატროშვილისი აქვს, საარსებო შემწეობაც შე-

16 ივლისს მოსული ძლიერი წვიმის დროს ხელმოკლე ოჯახის საცხოვრებელი ბინაც მთლიანად დაიტბორა, რა დროსაც კედლის ერთი ნაწილი მთლიანად გადაინგრა და იქ ცხოვრება შეუძლებელი და სიცოცხლისთვის სახიფათო გახდა. მრავალშვილიანი ქვრივი დედა ამბობს, რომ გამგეობას დახმარებისთვის განცხადებითაც მიმართა, თუმცა მათი გასაჭირი გულთან არავის მიუტანია:

„დრო აღარ ითმენს. კედელი წვიმებისგან გადაინგრა და საშიშია. ყველაფერი გაუბედურდა, აქ ცხოვრება ფაქტიურად აღარ შეიძლება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. წვიმის დროს გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ჯიბღაშვილი მოვიდნენ, ვითომ რეალურად აინტერესებდათ, მაგრამ შიგნითაც არ შემოსულან, გაბრუნდნენ, წავიდნენ. ჩვენთვის მას შემდეგ არც ყურადღება მოუქცევია ვინმეს და არც ის უკითხავთ, სტიქიას ცოცხლები გადავურჩით თუ არა. გამგებელი რომ იძახდა, კომისია შეიქმნაო, აბა სად არის კომისია? რა დაადგინა, ან რატომ არ გვეხმარებიან?" – აცხადებს დაზარალებული ჩხიკვაძე.

სტატისტიკური მონაცემებით, კახეთის რაიონებს შორის დედოფლისწყარო შობადობის ზრდით მესამე ადგილზეა, თუმცა თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება კვლავაც შეინარჩუნეს, მომავალ წელს მაჩვენებელი, ალბათ, საგრძნობლად დაეცემა...

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

## წიგნი

# ასწლოვანი პრობლემების გადაწყვეტით

**ცნობილი მათემატიკოსი, ფუნქციათა თეორიის თვალსაჩინო სპეციალისტი, პროფესორი ომარ ძაგნიძე (75 წლის ასაკში!) შესაშური ენთუზიაზმითა და პროდუქტიულობით აგრძელებს არა მარტო საყვარელი დარგის კვლევას, არამედ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების წერის საპასუხისმგებლო საქმესაც.**




დღეს საუბარი გვექნება თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში დასტამბულ მის ახალ მონოგრაფიულ სახელმძღვანელოზე **„ნამდვილ ცვლადთა ფუნქციების უწყვეტობა და დიფერენცირებადობა"** – სოლიდურ, ოთხთავიან და 496-გვერდიან ნაშრომზე. იმის სოლიდურობაზე თუნდაც ორი რიცხვი მეტყველებს – წიგნზე ხანგრძლივი მუშაობისას ომარ ძაგნიძეს დასჭირდა 182(!ძ მათემატიკური მონოგრაფიისა თუ სტატიის ციტირება და 59 პირის მოხსენიება. ჭეშმარიტად, ბატონი ომარის ინტერესთა სფეროში არავინ და არაფერი არ არის გამოტოვებული ან დავიწყებული!

მათემატიკური ანალიზის ავტორიტეტული სპეციალისტები ძალიან კარგ შეფასებას აძლევენ ომარ ძაგნიძის მონოგრაფიას, რომელიც ეყრდნობა ავტორისა და მისი მოწაფეების შედეგებს, მიღებულს ბოლო ათწლეულში და გამოქვეყნებულს ქართულ და უცხოურ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელშიც თავმოყრილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა.

გადმოცემული მასალა მეტწილად ახალია და მნიშვნელოვნად ავითარებს კლასიკური მათემატიკური ანალიზის, ანუ ფუნქციათა თეორიის ძირითად პრობლემატიკას.

„ნამდვილ ცვლადთა ფუნქციების უწყვეტობა და დიფერენცირებადობა" პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, კვლევითი ხასიათის სერიოზული ნაშრომია და ამავე დროს ფართო საგანმანათლებლო ღირებულებისაცაა.

რეცენზენტები საგანგებოდ აღნიშნავენ ერთ ფრიად სასიამოვნო გარემოებას: წარმოდგენილ მონოგრაფიაში ავტორმა შეძლო რამდენიმე მნიშვნელოვანი, ისტორიული პრობლემის გადაწყვეტა – ისტორიაა, მაშ რა, როცა ამოცანა გადაუჭრელი „დევს" ათეულ და ასეულ წლობით.

არაერთ სიკეთესთან ერთად, წიგნს ფართო აუდიტორიისთვის გამიზნულობაც ახლავს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალკურსელები, მათემატიკური ანალიზის სპეციალობის მაგისტრანტები, დოქტორანტები, ბაკალავრები, უბრალოდ, ნებისმიერი მკითხველი, დაინტერესებული აქ განხილული საკითხებით.

2004 წელს ომარ ძაგნიძემ ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა („ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში"ძ ამ მონოგრაფიის შემოკლებული ვარიანტი, რომელსაც გაცნობია ამერიკელი მათემატიკოსი, პროფესორი ზბიგნევ პიოტროვსკიც. აი, რა მოიწერა ოკეანისგაღმელმა კოლეგამ: „პატივცემულო პროფესორო ძაგნიძე! რა შესანიშნავი მონოგრაფია დაგიწერიათ!! მე კვირეებს მოვანდომებ იმის შესწავლას! თუ რამე შეკითხვები ან მოსაზრებები გამიჩნდება, შეგატყობინებთ. მიიღეთ ჩემი მოლოცვა!"

...მკითხველს მოვუბოდიშებ ჩემს თავზე ლაპარაკისათვის, მაგრამ რა ვქნა, მეამაყება, ომარის მასწავლებელი რომ ვიყავი მრავალი წლის წინათ, ალმამატერ უნივერსიტეტში... „ჩემს გამორჩეულ ლექტორსო", წააწერია მორთმეულ საუცხოო წიგნზე (რითაც ასე გამახარაძ – არადა, გამორჩეული თვითონ უფრო იყო ჯერ კიდევ სტუდენტის როლში...

...მე ვიცი ომარის ახალი ჩანაფიქრების, შემოქმედებითი გეგმების შესახებ და ვიცი, რომ შემდგომი წარმატებებით გაგვახარებს...

**თამაზ ებანოიძე**

## ინფორმაცია

### შამბა სააკაშვილს ჟენევის კონფერენციაზეც ურჩევს ნათქვამის გამეორებას



**საქართველოს აქვს შესაძლებლობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროპარლამენტში გაკეთებული განცხადებები დაადასტუროს და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას ხელი მოაწეროს. ეს განცხადება აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ საქართველოს პრეზიდენტის ევროპარლამენტში გაკეთებული განცხადების კომენტირებისას გააკეთა.**

**– ჩვენ ხშირად გაგვიგონია ამგვარი განცხადებები საქართველოს პრეზიდენტისგან, იმის წინა პრეზიდენტისგან, ბევრ ხელშეკრულებაზე და შეთანხმებაზეც მოგვიწერია ხელი. ამას გარდა, სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებამდე ასევე იყო გაკეთებული მსგავსი განცხადებები იმის შესახებ რომ საქართველო სამხედრო ძალას არ გამოიყენებდა. ამ განცხადებების არ მჯერა, – აცხადებს სერგეი შამბა და დასძენს, რომ თუ ყოველივე, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ევროპარლამენტში განაცხადა სიმართლეა, ქართველებს ამის დადასტურების საშუალება ნამდვილად აქვთ.**

**– არსებობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა ფორმატი. თუ საქართველოს მართლაც ის სურს რაც განაცხადა, მორიგ შეხვედრაზე მას ექნება საშუალება იურიდიულად სავალდებულო ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას მოაწეროს ხელი, – აცხადებს სერგეი შამბა.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნატოს და რუსეთის სტრატეგიული კონცეფცია საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვის გეგმებზეა დამოკიდებული

**მართლაც რა უნდა რუსეთს საქართველოსგან? ისევე, როგორც ყველა საკითხში, რომლებიც ჩნდება რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, კრემლს სურს მიიღოს ან განიმტკიცოს შესაძლებლობა – კონტროლი გაუწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მაგრამ საქმე მარტო ეს როდია.**

საქართველო – ეს არის ბრძოლის ველი, ეს არის ქვეყანა, სადაც მიმდინარეობს ომი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სწორედ აქ, ისევე, როგორც კონფლიქტის სხვა ზონებშიც, რუსეთის ლიდერებმა უნდა გადადგან კონკრეტული ნაბიჯები, რათა დაიწყონ მოქმედება თავიანთი „ახალი აზროვნების“ შესაბამისად. ჩვენ არ შეგვიძლია განვჭვრიტოთ, რა გზით წავა პუტინი მედვედევთან ერთად, უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი, როგორც ჩანს, თავადაც ვერ ერკვევიან, თუ რომელ გზას აირჩევენ უახლოეს მომავალში. მაგრამ თუ სასიამოვნო ხმებით ვიმსჯელებთ, რომლებიც მოდის ლისაბონიდან, რუსები მტკიცედ დადგნენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან გლობალური პარტნიორობის გზაზე.

პრობლემა ყოველივე ამასთან დაკავშირებით აი, როგორია: როგორ შეუძლია რუსეთმა შეინარჩუნოს წარსული მიღწევები ისე, რომ არ დაკარგოს პოტენციალი სამომავლოდ? პუტინის დილემა ასეთია: როგორ გადავიდეს პოსტსაბჭოთა მმართველობიდან ამერიკის შეერთებულ შტატებთან ახალ გლობალურ პარტნიორობაზე ისე რომ, არ გამოიწვიოს გარდაქმნის პერიოდში უმართავი სოციალური რევოლუცია? როგორ შეიძლება მოახდინონ მსუბუქი გადასვლა ტრადიციული პოზიციიდან – ზიანი მიაყენონ ამერიკის გეგმებს – ახალ გზაზე, ესე იგი ითანამშრომლონ ამერიკელ სტრატეგებთან? პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც მოხდება გადასვლა: აი, დაწესებულება მუშაობს „ძველი აზროვნების“ შესაბამისად, და აი, დადგა ახალი დღე და უნდა გადავიდეთ ახალზე.

დილემა, რომელიც პუტინის წინაშე დგას, განსაკუთრებით ცხადად ჩანს ამიერკავკასიაში, სადაც საბჭოთა კარტოგრაფების მისწრაფება, რომლებიც ამოძრავებდათ ეთნოსთა შორის სხვაობა, ერთმანეთის დაპირისპირებაში მარადცვალებადი ნაციონალიზმების მშენებლობის გეგმებთან დაკავშირებით. რუსეთ-ამერიკის ბრძოლა – „სამხრეთი ნაკადი“ „ნაბუქოს“ წინააღმდეგ – ქმნის გადაულახავ ზღუდეს და აგრეთვე ცნებას საზღვრის შესახებ. ასე რომ, ხალხი, ვინც გეგმავს მათ მომავალს საკუთარი თავდაცვის მოსაზრებით, მიმართავს ნაციონალიზმს, ვინაიდან აქვთ პოტენციალი სამომავლოდ, რისთვისაც უნდა იბრძოლონ. თავდაცვითი ნაციონალიზმი უნდა შემოაბრუნონ საკუთარი მეგზისკენ, არჩიონ, თუ სად არის გზა ახალი მომავლისკენ. წარსულში სირთულეების



გადალახვის მცდელობებმა, რომლებიც განუყოფელია რეგიონის სიმშვიდის აუცილებლობისგან, თავი მოიყარეს ახალი ანკლავების შექმნაში, და ეს იქცა ახალ დაბრკოლებად – ესენია სამხრეთი ოსეთი, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი. პარტიზანების მომზადების ეს ბანაკები უნდა განადგურდეს, მაგრამ ისე, რომ მხედველობიდან არ გამოგვრჩეს საკვანძო მოთამაშეთა ინტერესები.

შეძლებენ კი ამერიკელი და რუსი ლიდერები დაძლიონ პუტინის დილემა რაიმე „მშვიდობიანი შეტევით“?

ამასწინანდელი ნაბიჯები, რომლებიც მიღებული იქნა აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მხარეების მიერ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით, მეტყველებენ იმის შესახებ, რომ რუსეთ-ამერიკის პარტნიორობა უკვე მზადაა დაუშვას ან მოიწონოს საკითხის სამხედრო გადაწყვეტა, თუმცა თავად აწერენ ხელს ხელშეკრულებებს, რომლებიც ავალდებულებენ მათ დაიცვან დაწესებული ზომები კონფლიქტების მოსაწესრიგებლად.

როდესაც საქართველოს საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას უჭერს მხარს, ამერიკის მხარე ბორკავს თავის თავს ვალდებულებებით – გადაჭრას რუსეთთან დაპირისპირების პრობლემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთს არ შეუძლია დაუთმოს საქართველოს ამბიციებს. რა საფასურს მოითხოვს რუსეთი საქართველოსგან, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატებისგან იმ ტერიტორიებზე უარის თქმით, რომელიც მას იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მზად არის იბრძოლოს მისთვის? აფხაზეთის რუსეთის სამხედრო ანკლავად გადაქცევა პირდაპირ იყო დაკავშირებული სააკაშვილის მიერ განხორციელებული დერუსიფიკაციის პროგრამასთან. სამხრეთმა ოსეთმა იფეთქა მაშინ, როდესაც საქართველოს ლიდერი შეეცადა გამოედევნა იქიდან რუსები და გადაეკეტა როკის გვირაბი – ერთადერთი გზა, რომელიც აკავშირებდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს, იმისთვის, რომ აეძულებინა რუსეთის ჯარები გადასულიყო კავკასიის მთების იქით. რუსეთ-ამერიკის იდეალური პარტნიორობა უნდა გამოიყურებოდეს ისე, რომ ამერიკელების ყოფნა საქართველოში იყოს სასარგებლო რუსეთის მხარის ინტერესებისთვისაც.

რასაკვირველია, ლისაბონში ხანგრძლივი დისკუსიები ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტებისა, შეეხება შეზღუდვებს გლობალურ სივრცეში და მცდელობებს – მიჩუმათდეს სხვაობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მსოფლიოს მოქალაქეთა დაჟინებულ ყურადღებაში.

ჩვენ კი, როგორც კონტროლს დაუქვემდებარებელი თავისუფალი პრესის წარმომადგენლები, უნდა ვეცადოთ გავაკეთოთ ყველაფერი ისე, რათა ყველა კონკრეტული გეგმა, რომლებიც შეეხება ჩვენს მომავალს, აღარ იყოს გასაიდუმლოებული.

ONLINE JOURNAL

# კავკასიელმა ვიზიტორმა მოლდოველი ამომრჩევლები შეაცბუნა

**კიშინიოვში ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მოლდოვის ზოგიერთმა პოლიტიკოსმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ მის ვიზიტს მოლდოვის რესპუბლიკის საარჩევნო პროცესში პირდაპირი ჩარევა უწოდეს, ვინაიდან იგი მიმდინარეობდა პარლამენტის არჩევნების წინ. უფრო მეტიც, სააკაშვილს ბრალი დასდეს იმაში, რომ მან მოლდოვის დედაქალაქში გაგზავნა ბოევიკების ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ მოლდოვის რესპუბლიკაში მოაწყონ უწესრიგობანი, თუ დღევანდელი მმართველი ალიანსი დაკარგავს ხელისუფლებას**

საარჩევნო კამპანიამ (არჩევნები 28 ნოემბერს გაიმართება) ისე მოაბეზრა თავი მოლდოველ ამომრჩევლებს და ისე შეაშინა ისინი, რომ მათ მხოლოდ ერთი რამ უნდათ: „ეს ყველაფერი ოღონდ მალე დამთავრდეს“. ეს სიტყვები შეიძლება მოისმინოთ, პრაქტიკულად, ყოველი კიშინიოველისგან, როგორც კი სიტყვა ჩამოვარდება პარლამენტის არჩევნებზე. „ამ ქვეყნიდან ნახევარი უკვე გავიდა, აქ არ არის სამუშაო და მომავალი, ქვეყანას კი იყოფენ და იყოფენ“, – შემოგვჩივლა ერთ-ერთმა ქალმა ბელცმა, რომელიც სარჩო-საბადებელს მოსკოვში იმუშავებს. „მადლობა, რომ აქედან არ გვერეკებიან, ისინი კი (მოლდოვის ხელისუფლებაძ სულ რუსეთს ედავებიან. ჩვენ ყველასთან უნდა ვიმეგობროთ, მაგრამ რუსეთთან პირველ რიგში.

ამ ფრაზაში არის მომავალი არჩევნების ფორმულა. მოლდოვაში ყოველთვის ეჯახებოდნენ ერთმანეთს პროდასავლური და პრორუსული ძალები, მაგრამ ამჯერად ეს ბრძოლა დამახასიათებელია რიგითი ამომრჩევლებისთვისაც, სწორედ ისინი არიან გათიშული ორ ბანაკად: რუმინეთისთვის და რუსეთისთვის. საპარლამენტო პარტიებს შორის, რომლებსაც აქვთ ყველაზე მეტი შანსი შევიდნენ ახალ პარლამენტში, არის აშკარად პრორუმინული, მაგრამ ასპროცენტიანი პრორუსული არ არის. და ეს არის დამთავრების პირას მისული საარჩევნო კამპანიის თავისებურება. პირველთა რიცხვს განეკუთვნებიან ლიბერალები (ლიდერი – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მიხაი გიმპუძ და ლიბერალ-დემოკრატები (პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ ფილატიძ. მათ თავისი არ უნდა დაუკარგო: ისინი არასოდეს ცვლიდნენ თავიანთ ორიენტირებს და ყოველთვის გულღიად ლაპარაკობდნენ: გვინდა რუმინეთში და ნატოში. რაც შეეხება ყველაზე დიდ საპარლამენტო პარტიას – კომუნისტებს, როდესაც რვა წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში იყვნენ, მათ ორჯერ შეცვალეს საგარეოპოლიტიკური კურსი – პრორუსულიდან დასავლურზე და პირიქით. ახლა კი, როდესაც კომუნისტების ლიდერი ვლადიმირ ვორონინი არწმუნებს ამომრჩევლებს, რომ მოლდოვა უნდა ისწრაფოდეს ევროკავშირისკენ, თანაც განსაკუთრებით უნდა იმეგობროს რუსეთთან, მას უკვე ბევრი აღარ უჯერებს. მიუხედავად ამისა, კომუნისტების პარტიასაც მისცემენ ხმას, მაშ იმათ ხომ არ დაუჭერენ მხარს, ვინც რუმინეთთან გაერთიანებისთვის იღვწის. ვორონინი ამას კარგად იყენებს. და იგი თავისი პარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკას აგებს უწინარეს ყოვლისა მოლდოვის სახელმწიფოებრიობის დაკარგვის იდეისა და რუსეთისგან გამოყოფის მიუღებლობის პრინციპებზე.

ამომრჩეველთა თვალში ავტორიტეტი რომ არ დაეკარგა, ვლადიმირ ვორონინმა უარი თქვა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი 2005 წელს ვიქტორ იუშჩენკოსთან ერთად ჩავიდა არჩევნებში მხარდასაჭერად. ვორონინი, მაშინ პრეზიდენტი, ქართველ და უკრაინელ კოლეგებთან ერთად ლანძღავდა რუსეთს და ვაგონებით აგზავნიდა სამშობლოში კიშინიოვში ჩამოსულ რუს მეთვალყურეებს. ზოგიერთი მაშინ დააპატიმრეს კიდეც. დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა თავდაცვის ექს-მინისტრი ვალერი პასატიც, რომელიც მოლდოვის დედაქალაქში ჩამოფრინდა მოსკოვიდან ოპოზიციის ყრილობაზე. მას ბრალი დასდეს სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში და ჩასვეს ციხეში, სადაც მან 2,5 წელი გაატარა. ამჟამად პასატი სათავეში უდგას ჰუმანისტურ პარტიას და ასევე მიდის არჩევნებზე. ამ დღეებში მან გააკეთა განცხადება, რომელშიც არის ასეთი გაფრთხილება: სააკაშვილმა თავისი ჩამოფრენით კიშინიოვში შეიძლება გაამწვავოს ვითარება. პასატმა ჩვენს კორესპონდენტს უთხრა, რომ, მისი მონაცემებით, მოლდოვის დედაქალაქში იმყოფება ქართველი ბოევიკების ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გიორგი თარგამაძე, აგრეთვე რუმინელი ლეგიონერების რაზმი. მათ განზრახული აქვთ მონაწილეობა მიიღონ აქციებში, რომლებიც დაგეგმილია 1 დეკემბრისთვის – რუმინეთის ეროვნული დღისთვის. და ამ დღეს, პასატის სიტყვებით, შეიძლება ველოდოთ მასობრივ უწესრიგობებს. რუმინული და ქართული ჯგუფები – ესენი არიან პრორუმინული ძალების მხარდამჭერები. ისინი მხარს უჭერენ ხელისუფლებაში მყოფ ძალებს. ჰუმანისტური პარტია, უნდა ვიფიქროთ, არის ერთადერთი ამჟამინდელ არჩევნებში, რომელიც მკაფიოდ ორიენტირებულია რუსეთზე.

პირველი დეკემბრის მასობრივი ღონისძიებების აკრძალვის იდეას მხარი დაუჭირეს აგრეთვე საზოგადოებრივმა ასოციაციამ „სკუტულ მოლდოველესმა“, ახალგაზრდულმა მოძრაობამ „ვოევოდმა“, ეროვნულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ და მოლდოვის კიდევ 35 არასამთავრობო ორგანიზაციამ. მათ მოუწოდეს ქალაქის ხელისუფლებას არ დაუშვან ამ დღეს ექსტრემისტული დაჯგუფებების მარშის მოწყობა, მათ შორის, რუმინელი ლეგიონელებისაც. კიშინიოვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვარაუდობენ, რომ აქციაში მონაწილეობას მიიღებს ხალხის დიდი რაოდენობა რუმინეთიდან.

გაზეთი „მოლდოვსკიე ვედომოსტი“ იტყობინება, რომ „უკვე თვეზე მეტია ქვეყანაში მოქმედებს სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც ამუშავებს სცენარს მასობრივი უწესრიგობის მოწყობისთვის, თუ არჩევნებში გაიმარჯვებენ პარტიები, რომლებიც ორიენტირებული არიან რუსეთთან თანამშრომლობაზე. გამოცემა წერს, რომ ერთ-ერთი მმართველი ალიანსის – „ევროპული ინტეგრაციისთვის“ – წინასაარჩევნო შტაბში მუშაობს გიორგი თარგამაძე, რომელიც „საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით კიშინიოვში ამზადებს სცენარს მასობრივი უწესრიგობის ორგანიზაციისთვის“.

იმ შიშის გამო, რაც დაკავშირებულია ქუჩის უწესრიგობასთან, ამომრჩევლებს თავს დაატყდა კომპრომატებისა და კრიმინალური ინფორმაციის ტალღა. ამ დღეებში კიშინიოვში სცემეს მოლდოვის უშიშროების ექს-მინისტრს, კომუნისტების პარტიისგან დეპუტატობის კანდიდატს, აგრეთვე ექს-პრეზიდენტ ვორონინის ცოლის ძმისწულს არტურ რეშეტნიკოვს. ის ყვებოდა, რომ მას აწამებდნენ, უნდოდათ მისგან გამოეძალათ კომპრომატები ვლადიმირ ვორონინზე. საქმის გამოძიებაში ჩაერთო გენერალური პროკურატურაც.

ამ დროს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მიხაი გიმპუმ ასევე მოინდომა მიელო და წარედგინა ამომრჩევლებისთვის ცნობები, რომლებიც დაეხმარება მათ გაიგონ, თუ ვინ არის სინამდვილეში კომუნისტების ლიდერი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე




**ლონდონსა და რომში პოლიციას მოუწია დაეშოშმინებინა ათასობით სტუდენტი, არიან დაზარალებულებიც**

**ლონდონის ცენტრში დემონსტრაცია, რომელიც გამოხატავდა პროტესტს ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ – გაზარდოს საფასური უმაღლესი განათლებისთვის, დამთარვდა ქუჩის უწესრიგობებითა და პოლიციასთან შეტაკებით. დაზარალდნენ ორი პოლიციელი და ექვსი დემონსტრანტი, რვა კაცი დაპატიმრებულია. რომში ანალოგიურ აქციაში ათობით კაცი დაიჭრა.**

* * *

**კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კუნძულ იონპხიონდოს მიმართულებით საარტილერიო სროლაში პასუხისმგებლობა აშშ-სა და სამხრეთ კორეას დააკისრა**



**„თუ ვაშინგტონს მართლაც აინტერესებს დაძაბულობის მოხსნა კორეის ნახევარკუნძულზე, – ნათქვამია განცხადებაში, – მაშინ ამერიკის ხელისუფლებამ ბრმად არ უნდა გაუწიოს მფარველობა სამხრეთ კორეის მარიონეტულ ძალებს, პირიქით კონტროლი უნდა დააწესოს მათ მოქმედებებზე“.**

* * *

**ბრიტანელმა სამხედრო მეზღვაურებმა ადენის ყურეში ჩაძირეს სომალელი მეკობრეების კატარღა**



**დარტყმა კატარღას მიაყენეს ბრიტანეთის სამხედრო ხომალდიდან. შვეულმფრენმა, რომელიც რაიონის თავზე დაფრინავდა, შენიშნა საეჭვო ხომალდი, იგი შეცნობილი იქნა, როგორც ველბოტი, რომელსაც მეკობრეები იყენებენ ზღვაში თავდასხმებისთვის.**

* * *

**ავღანეთში პარლამენტის არჩევნებიდან ორი თვის შემდეგ გამოცხადდა მისი შედეგები**

**შედეგების შეჯამება გადაიდო მრავალმხრივი დარღვევებისა და ფალსიფიკაციების გამო: კომისია ამოწმებდა საჩივრებს ხმების მიცემის შესახებ, აგრეთვე ზემოქმედების შესახებ პროვინციელ ჩინოვნიკებზე. დისკვალიფიცირებულთა შორის აღმოჩნდა პრეზიდენტ ხამიდ კარზაის ბიძაშვილიც.**



## წლები

# დღეწლმოსილი

**ელექტროტექნიკური მეცნიერების სახელოვან მოღვაწესა და ახალგაზრდა სპეციალისტთა და მკვლევართა მრავალი თაობების აღმზრდელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საერთაშორისო ელექტროტექნიკური აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ პეტრე მერაბიშვილს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.**

მთელი მისი ბიოგრაფია, მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი, საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული ღვაწლის ჭეშმარიტი დადასტურებაა.

ბატონმა პეტრემ სახელოვნად განვლო გზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტობიდან აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის მიერ დაარსებული უმდიდრესი ტრადიციების მქონე ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგის მაღალ თანამდებობამდე.

პეტრე მერაბიშვილის მოღვაწეობა გასული საუკუნის 60-70 წლებში ქ. მოსკოვის წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტებში უაღრესად ნაყოფიერი იყო. არაწრფივი ნახევარგამტარიანი ვენტილური წრედების თეორიაში გაწეული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა ვენტილური გარდამქმნელებიანი წრედების ანალიზის ორიგინალური სპექტრალურ-ოპერატორული მეთოდი, რომელიც სამეცნიერო ელექტროტექნიკურ ლიტერატურაში პ. მერაბიშვილის მეთოდის სახელითაა ცნობილი.

მისი მონოგრაფიები „გარდამავალი ელექტრომაგნიტური პროცესები არაწრფივ ვენტილურ სისტემებში“ და „გარდამავალი პროცესების თეორია ვენტილურ გარდამქმნელებიან წრედებში“ ახალგაზრდა მეცნიერებისა და სპეციალისტების სამაგიდო წიგნებია.

1982 წლიდან ბატონმა პეტრემ მჭიდროდ დაუკავშირა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, სათავეში ჩაუდგა რა „ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის“ კათედრას, უდიდესი ღვაწლი დასდო ამ კათედრის სასწავლო ლაბორატორიული ბაზის განახლებისა და განვითარების საქმეს.

პროფესორ პეტრე მერაბიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი ინიციატივით ქ. ახალციხეში გაიხსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტი, სადაც წლების მანძილზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით მზადდებოდა საინჟინრო კადრები.

სამეცნიერო კადრების აღზრდის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ელექტროტექნიკის სამეცნიერო საბჭომ პ. მერაბიშვილის თავმჯდომარეობით დიდი დახმარება გაუწია ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს შემდგომ მეცნიერულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 12 საკანდიდატო დისერტაცია. იგი 130-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორია, რომლებიც დაბეჭდილია აშშ-ის, გერმანიის, ჩინეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების ელექტროტექნიკურ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.



მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდების აღზრდის საქმეში გაწეული თავდადებული შრომისათვის ღვაწლმოსილი მეცნიერი 1995 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით, 2003 წელს ღირსების ორდენით, ხოლო 2005 წელს – ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – გიორგი ნიკოლაძის მედლით.

ბატონი პეტრე შესანიშნავი ქართული ღირსებით აღსავსე ოჯახის თავკაცი გახლავთ. მეუღლე ქალბატონი იზოლდა, ვაჟიშვილები თეიმურაზი და ლევანი თავიანთი ლამაზი ოჯახებით გვერდს უმშვენებენ და ღირსეულად აგრძელებენ მერაბიშვილების ძირძველი საგვარეულოს სახელოვან ტრადიციებს.

ხანგრძლივ სიცოცხლეს, მხნეობასა და შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებთ ბატონ პეტრეს, ჩვენს საიმედო მეგობარსა და კოლეგას. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ მრავალმხრივი ცოდნით, მდიდარი გამოცდილებითა და მაღალი ადამიანური ღირსებით იგი კიდევ დიდხანს ემსახურება სათაყვანებელ საქართველოსა და მის ხალხს.

**არჩილ ფრანგიშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი;**

**მინდია სალუქვაძე,**
**აკადემიკოსი**

## განათლება

# სიახლეთა გზით

**ჩვენი სასწავლო უნივერსიტეტი მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კურსს, რომლის მიზანია თანამედროვე, კვალიფიციური სპეციალისტები მისცეს ქვეყანას.**

მკითხველს უნდა ესაუბროთ იმ სიახლეების შესახებ, რაც უნივერსიტეტში ხორციელდება. ამ სიახლეთა მიზანია უნივერსიტეტის მუშაობის ღრმა ანალიზი, სტუდენტთა იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რაც სწორედ, აუცილებლად მიაჩნიათ. ამ თვალსაზრისით ძალიან სასარგებლო გამოდგა რექტორატის მიერ სასწავლებლის შესასვლელთან დაკიდებული საფოსტო ყუთი, რომელსაც აწერია:

მოგწონთ თუ არა ჩვენი უნივერსიტეტი, გამოხატეთ თქვენი აზრი; შეგვეკითხეთ – გიპასუხებთ, ყუთი გაიხსნება ყოველ პარასკევს 10 საათზე და პასუხი გაეცემა ყველა კითხვას.

ყუთი უკვე ორჯერ გაიხსნა და ჩატარდა „კითხვა-პასუხის დილა“. ღონისძიებებს ესწრებოდნენ როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები. პირველ შეხვედრაზე შეკითხვების გარკვეული ნაწილი ეხებოდა იმას, თუ რატომ შეეცვალა უნივერსიტეტს ილია ჭავჭავაძის სახელი. სახელის შეცვლა რაიმე არსებითი მიზეზით კი არ მომხდარა, უბრალოდ დედაქალაქის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს ერქვა ეს სახელი!

კითხვა-პასუხის დილაზე, რომელიც მეორედ, 19 ნოემბერს გაიმართა, სტუდენტთა შეკითხვები უფრო გაბედული და მრავალფეროვანი გამოდგა... სტუდენტები სამართლიანად მოითხოვენ ფიზკულტურის სწავლების გაფართოებას. სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასწავლო ცხრილში ცვლილებების გამო, რაშიც აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ. შემოსულ კითხვებში სტუდენტების ინტერესს შეადგენს, თუ ვის დაენიშნება სტიპენდია, სად და როდის მოეწყობა ექსკურსიები.

ერთი სიტყვით, „კითხვა-პასუხის დილა“ უკვე სერიოზულად გვეხმარება ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. უთუოდ სიახლედ მიგვაჩნია ჩვენი უნივერსიტეტის მიერ ახლახან დაწყებული სემინარების ციკლი ქვეყნის აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე.

უკვე გაიმართა პირველი სემინარი თემაზე: „დავით აღმაშენებლის ეკონომიკური ხედვა“. თემა შემთხვევით არ შეგვირჩევია. მოგეხსენებათ, დავით აღმაშენებელი ჩვენს ისტორიოგრაფიაში უფრო შესწავლილია, როგორც უბადლო მხედართმთავარი, როგორც უდიდესი კულტუროლოგი, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი და განზოგადოებულია დავითის მემატიანის ნათქვამი: „აღავსო ზღვა და ხმელეთი ქველისსაქმემან მისმან“. სწორედ დავით აღმაშენებლის ეკონომიკურ და სახელმწიფო რეფორმებს შეეხო „ბიზნესისა და ტურიზმის“ მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი თამარ გელაშვილი.

ჩვენი უნივერსიტეტი აგრძელებს სასწავლო-მეთოდური მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ქ. გორის სუხიშვილის უნივერსიტეტის კოლექტივთან, რასაც დადებითი შედეგები მოაქვს.

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ – ჩვენი წინაპრების ეს ჭეშმარიტი, პერსპექტიული, იმედის მომცემი ნათქვამი არის და იქნება თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის მოღვაწეობის მიზანი და მრწამსი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოველდღიური, ინტენსიური მუშაობით, სიახლეთა დანერგვის გზით წარვმართავთ ჩვენს საქმიანობას, რათა მოვიპოვოთ სამინისტროს მიერ უმაღლესი აღიარება – ავტორიზაცია.



**ამირან მექვაბიშვილი,**
**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**

## როცა თავმოყვარეობა გვეკარგება

# „ვინც მამულის ვენახს გამოაცლის ჭიგოს, წყეულიმც იყოს“

**ცნობილი პოეტის ეს წყევლა, ბევრ პოლიტიკოსს მისწვდა და ბევრს კიდევ მისწვდება. მისწვდება ყველას, ვინც დღეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს და სხვებსაც აიძულებს სამშობლო დატოვონ და ლუკმა პურისათვის უცხოეთში გადაიხვეწონ.**

მაღალი უნარ-ჩვევებისა და ინტელექტის მქონე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს საზღვარზე იჭერენ, საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებენ, უკან აბრუნებენ, მაგრამ ისინი მაინც გარბიან საკუთარი სამშობლოდან, დანაღმულ საზღვარზე ფეთქდებიან, ავტობუსის საბარგულში დამალულებს გაზის შეშვებით კურდღლებივით იჭერენ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან, რადგან სამშობლოში მათხოვრობას და დაგლახავებას, უცხო ქვეყანაში ოფლის ღვრით და სხვათა მომსახურებით მოპოვებულ გროშებს ამჯობინებენ.

განვლილი 20 წლის მანძილზე ქვეყნის ხელისუფლება მიზანმიმართულად სპეციალდებოდა „ჭიგოს გამოცლაზე“. მას სხვანაირად არც შეეძლია, თუ არ დაანგრია ფაბრიკები და ქარხნები, მშენებარე და მოქმედი ჰესები, თუ არ დაშალა მრავალრიცხოვანი შრომითი კოლექტივები, თუ არ გაყიდა ყველაფერი, რაც იყიდება, როგორ მიიღებს უცხოურ დახმარებებს და სესხებს, როგორ მოიზიდავს ინვესტორებს და როგორ მოიტეხავს სათავისო წილს შემოტანილი ფულადი სახსრებიდან?

და დაიშალა მრავალრიცხოვანი შრომითი კოლექტივები, გაიყიდა მომგებიანი საწარმოები, დაიკარგა მათი (ე. ი. ქვეყნის) ინტერესები, სამაგიეროდ წინ წამოიწივნენ ამბიციური და ეგოისტური მისწრაფებების მქონე პოლიტიკოსები და სხვა მოქალაქენი. მათ არ იციან (ან საიდან უნდა იცოდნენ?ძ ქვეყნის ინტერესები და პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები. ასეთ პოლიტიკოსებს არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ სამშობლო. რასაკვირველია, მათაც უყვართ ის ადგილი, სადაც გაიზარდნენ, უყვართ მშობლები, დედ-მამიშვილები, ნათესავები, მეგობრები, მაგრამ ასეთი სიყვარული შადიმანსაც ჰქონდა. შადიმანი უფრო მაღალი ზნეობის პიროვნებად გვევლინება, რადგან ის ხმლით ხელში ღიად ებრძოდა მეფის ხელისუფლების გაძლიერების მომხრეებს, ხოლო დღევანდელი პოლიტიკოსები იბრძვიან მზაკვრულად; დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალის შემოტანით, საკუთარ ქვეყანაში წარმოების ჩაკვლით, ქვეყნიდან საწარმოო ძალის მიგრაციული პროცესების ხელშეწყობით (ინგლისური ენის საყოველთაო შესწავლის მიზანია დასავლეთ ევროპაში გასული ჩვენი მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაძ.

ეს რა არის, თუ არა მამულის ვენახისათვის ჭიგოს გამოცლა?

„ვენეციის კომისია მზად არის განაცხადოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია სრულად შეესატყვისება ევროპულ ტრადიციებს“ – ასეთი შინაარსის მოკლე შეტყობინება მიუღია საქართველოს პრეზიდენტს. ე. ი. საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს მიუღიათ კონსტიტუცია ევროპის სახელმწიფოებისთვის და არა საქართველოსთვის. კონსტიტუციის მიმღებებმა ალბათ არ იციან, რომ საქართველოს კონსტიტუციის მთავარი მიზანი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვაა, და რომ ამ ადამიანებს აქვთ ტრადიციები.

თუ ევროპული ტრადიციების კონსტიტუცია უნდა მივიღოთ, ჩვენს ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხო ქვეყნების ინვესტიციები უნდა შემოიტანონ, თუ უნდა შემოვიტანოთ მზა პროდუქცია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, თუ ჩვენი მოქალაქენი საზღვარგარეთ უნდა გაიქცნენ და იქ იშოვნონ სამუშაო, რა „ფეხებად“ უნდათ ჩვენი ქვეყნის რიგით მოქალაქეებს და სხვებსაც ასეთი პარლამენტი, პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება? ალბათ იმისთვის, რომ პოლიტიკოსებმა თავიანთი ეგოისტური მისწრაფებები დაიკმაყოფილონ, იბრძოლონ ყველანაირი საშუალებებით ხელისუფლებაში მოსასვლელად.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით თავისი ეგოისტური სურვილების დასაკმაყოფილებლად, შესანიშნავად სარგებლობენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი ფაქტების ფალსიფიცირებით, ისტორიის თავიანთ სასარგებლოდ გადაწერით, ხელისუფლების მყარ დასაყრდენად იქცნენ. ინტელიგენციის ის უზნეო ნაწილი, ილია ჭავჭავაძის მიმდევრებადაც ასაღებენ თავს და სურთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება დამახინჯებულად წარმოაჩინონ.

ჩვენ არ ვიცით, რა ჰქვია მათ ასეთ მოქმედებას.

ინტელიგენციის თვით მოაზროვნე ნაწილსაც კი სიტყვაც არ უთქვამს თუნდაც კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესში, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე თვითმმართველობას. ილია ჭავჭავაძის წერილში „ცხოვრება და კანონი“ ნათლად ჩანს ილიას დამოკიდებულება თვითმმართველობისადმი.

ინტელიგენციის უმეტესმა ნაწილმა თუ ილია ჭავჭავაძის სახელიც არ დაიცვა, ისინი ლანძღვის და წყევლის ობიექტებად გადაიქცევიან მომავალში.

ჩვენ, რიგითების ერთ ჯგუფს, ნამდვილად არ გვესმის წყევლამ და ლანძღვამ (მეტისაგან ღმერთმა დაგვიფაროსძ ბევრს უწიოს, რადგან ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, გვეკარგება სამშობლოს სიყვარული და თავმოყვარეობა.

**ნუგზარ კობახიძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

ოლიმპიზმი

# ბრნოსთვის ბელგრადში გასამდება?

**დღეს ბელგრადში მუშაობას დაიწყებს ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეა, რომელზეც წლის შემაჯამებელი სიტყვით წარსდგება ამ ორგანიზაციის თავკაცი პატრიკ ჰიკი. ასევე, მოისმენენ ლონდონის 2012, რიო-დე-ჟანეიროს 2016 და სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების მოხსენებებს.** ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი კი ხვალ განიხილება: ევროპის 49 ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები კენჭს უყრიან, თუ სად გაიმართოს კონტინენტის ახალგაზრდობის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალი — საქართველოს დედაქალაქსა თუ ჩეხურ ბრნოში. ეს უკანასკნელი ამ უფლების მოსაპოვებლად 2007 წლიდან იბრძვის. წინა ორ ჯერზე მას თურქულმა ტრაბზონმა და ჰოლანდიურმა უტრეხტმა აჯობეს. იმედია, ბრნოსთვის ხვალ გასამდება. კენჭისყრის შედეგები 27 ნოემბერს 16.00 საათისთვის იქნება ცნობილი. ასამბლეას საქართველოდან თბილისის მერი გიგი უგულავა, სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე, ვიცე-პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი და სხვები დაესწრებიან.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# საოქმო ენით



**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი. V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „ინტერი “ — „ტვენტე“ 1:0 (კამბიასოძ, „ტოტენჰემი“ — „ვერდერი“ 3:0 (ქაბოული, მოდრიჩი, კრაუჩიძ.

„ტოტენჰემი“, „ინტერი“ — 10-10, „ტვენტე“ — 5, „ვერდერი“ — 2 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „შალკე“ — „ლიონი“ 3:0 (ფარფანი, ჰუნტელაარი — 2ძ, „ჰაპოელი“ — „ბენფიკა“ 3:0 (ზაჰავი — 2, დუგლგასიძ.

„შალკე“ — 10, „ლიონი“ — 9, „ბენფიკა“ — 6, „ჰაპოელი“ — 3 ქულა.



**„გ“ ჯგუფი.** „რეინჯერსი“ — „მანჩესტერი“ 0:1 (რუნიძ, „ვალენსია“ — „ბურსასფორი“ 6:1 (მატა, სოლდადო — 2, ადურისი, ხოაკინი, დომინგესი; სალლამიძ.

„მანჩესტერი“ — 13, „ვალენსია“ — 10, „რეინჯერსი“ — 5, „ბურსასფორი“ — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ — „ბარსელონა“ 0:3 (პედრო — 2, მესიძ, „რუბინი- — „კოპენჰაგენი“ 1:0 (ნობოაძ.

„ბარსელონა“ — 11, „კოპენჰაგენი“ — 7, „რუბინი“ — 6, „პანათინაიკოსი“ — 2 ქულა.

რაგბი

# რეიტინგში დაწინაურდნენ

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა კანადელთა დამარცხებით (22:15) სარეიტინგო პოზიცია 1.024 ქულით გაიუმჯობესა და 67.40 ქულა მოაგროვა, რითაც ტონგას ნაკრებს გადაასწრო და მე-16 ადგილზე დამკვიდრა.**

რიჩი დიქსონის შეგირდები ხვალ აშშ-ს გუნდს დაუპირისპირდებიან. ამ მატჩის შედეგზე დიდად არის დამოკიდებული ბორჯღალოსანთა წინსვლა-უკუსვლა. შეხვედრის ნებისმიერი შედეგით მოგების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები რეიტინგში მე-15 ადგილზე გადაინაცვლებს.



ჩვენი გუნდი ამერიკელების წინაალმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ბიძინა სამხარაძე, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი ჩხიკვაძე, თედო ზიბზიბაძე, დავით კაჭარავა, ლექსო გუგავა, ლაშა მალაღურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი ხინჩაგაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქიშვილი, გოდერძი შველიძე, შალვა სუთიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, სიმონ მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესიკ უდესიანი, ირაკლი ნატრიაშვილი, გიორგი ნემსაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, დავით ქუბრიაშვილი, ირაკლი გიორგაძე.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

# მეზობელთა ფიასკო

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე წრის სტარტზე გაზაფხული, როგორც იქნა, პოლონურ ქუჩაზეც მოვიდა. ზედიზედ ხუთი დამარცხების შემდეგ ამ ქვეყნის უძლიერესმა კლუბმა „პროკომმა“ პირველი გამარჯვება მოსკოვის ოლქის „ხიმკისთან“ მოიპოვა — 71:67.**



თავი შეირცხვინა კიდევ ერთმა რუსულმა გრანდმა ცსკა-მ, თუმცა „მილანთან“ გასვლით შეხვედრაში მისი წაგების — 65:71 (უკვე მეხუთესძ ფესვები უფრო ღრმადაა საძებნი და არმიელთა წლევანდელი კრახის კვალი იტალიელი მწვრთნელის ეტორე მესინას შეცვლასთან მიდის. სხვაგვარი ახსნა ძნელია მოეძებნოს იმ გუნდის უსუსურ თამაშს, რომელიც უკანასკნელი სეზონის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს, რადგან ძირითადი ბირთვი თითქმის სრულად შეინარჩუნა. რაც შეეხება თვით აპენინელ სპეციალისტს, იგი უმაღლეს პროფესიონალიზმს ახალ სარბიელზე — მადრიდის „რეალის“ სათავეშიც ამტკიცებს.

იმავე დღეს გამართულ კიდევ ორ მატჩში წარმატებას ფავორიტმა სტუმრებმა მიაღწიეს: „ლიეტუვას რიტასი“ — „ფენერბახჩე“ 75:81, „შოლე“ — „სიენა“ 61:70.

**გიორგი შოთაძე**

სუმო

# უარყოფითი ბალანსი გაიფორმეს



**ახალგაზრდა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინიძ კომუსუბის ტიტული ორჯერ მოიპოვა, მაგრამ მისი შენარჩუნება ერთხელაც ვერ შეძლო.** კიუშუს ბაშოს მე-11 დღეს იგი მერვედ დამარცხდა (სამი გამარჯვების წილძ პირველ მაუგაშირა კისენოსატოსთან. ასეთივე ბალანსი აქვს ლევან ცაგურიას (კოკაიძ, რომელსაც მე-6 მაეგაშირა მოკონამიმ აჯობა. თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუძ ჯერ კიდევ აქვს დადებითი ბალანსის მოპოვების შანსი: მე-11 დღეს მან ბუშუიამას სძლია, რაც ამ ბაშოზე მისი მე-5 გამარჯვება (6 მარცხიძ იყო.

64 უჯრა

# ფარ-ხმალი დააყრევინა...



მოგება

1. მg6+! –fg 2. ხf6+! –ლ:f6
3. მgd5+ – მ3g5+ 4. h4+ –მ3f5
5. g4+ – hg 6. ეf4+! – ხ:f4 7. e4X!

**თეთრებმა გვირგვინოსნის კარის ყველა შესასვლელი და გასასვლელი დაბლოკეს. დევნილი მეფე „მიძინებულ“ რიგით პაიკს შემოეყარა. ამ უკანასკნელმა მოულოდნელი დარტყმით ფარ-ხმალი დააყრევინა „დაუპატიჟებელ სტუმარს“.**

**შენიშვნა:** ეს ეტიუდი ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორის კ. ბაიერის „უკვდავი ამოცანის“ (1856ძ მიხედვით ა. კაზანცევის მიერ (1967ძ არის იმპროვიზირებული (**თ. შ.**ძ.

**მოამზადა**
**თამაზ შენგელია**

ინტერნეტიდან

## ვინ ითამაშებს ანანდთან 2012 წელს?

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდეძ გამოაქვეყნა ზუსტი თარიღი პრეტენდენტთა მატჩებისა. ის მომავალი წლის 3-დან 27 მაისამდე ყაზანში გაიმართება.**

ფიდემ გამოაქვეყნა რვა დიდოსტატის სიაც, ვინც ყაზანში უნდა იბრძოლოს: ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთიძ, მაგნუს კარლსენი (ნორვეგიაძ, ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთიძ, ლევონ არონიანი (სომხეთიძ, ბორის გელფანდი (ისრაელიძ, შახრიარ მამედიაროვი და თეიმურ რაჯაბოვი (ორივე — აზერბაიჯანიძ, გატა კამსკი (აშშძ. მათ 2010 წლის 22 დეკემბრის 13 საათამდე (გრინვიჩის დროითძ ხელი უნდა მოაწერონ გამოქვეყნებულ კონტრაქტებს. გასაოცარი ისაა, რომ ამ სიაში შეყვანილმა ტოპალოვმა და კარლსენმა, კარგა ხანია, უარი განაცხადეს ამ ტურნირში მონაწილეობაზე. როგორც ამბობენ, მაგნუსი კატეგორიულ უარს აცხადებს, ხოლო ბულგარელი დამოკიდებულია თავის ამბიციურ მენეჯერზე დანაილივზე, რომელიც ამას წინათ ევროპის საჭადრაკო ფედერაციის თავკაცად აირჩიეს. თუმცა ფიდეს მათი შემცვლელებიც უკვე გამოძებნილი ჰყავს. თუ ტოპალოვი და კარლსენი გადაწყვეტილებას არ შეცვლიან, მაშინ მათ ნაცვლად ტურნირში ითამაშებენ რუსეთელები ალექსანდრე გრიშჩუკი და დიმიტრი იაკოვენკო ან ჩინელი ვან იუე.



ცნობილი გახდა საპრიზო ფონდიც — 420 ათასი ევრო. პირველ წრეში წაგებულები მიიღებენ 30-30 ათას ევროს, მეორე ტურიდან გამოთიშულები 60-60 ათას ევროს, ხოლო ფინალში მონაწილეობისთვის თითოეული 90 ათას ევროს.

ასე რომ, რაღაც ერთ თვეში შევიტყობთ, თუ ვინ იბრძოლებს 2012 წელს ლონდონში მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონთან ვიშვანათან ანანდთან დაპირისპირების უფლების მოსაპოვებლად.

## კატალონიელებს დაეხმარება

**ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ კატალონიაში არჩევნების გამო ერთი დღით, 29 ნოემბრისთვის გადაიტანეს კლასიკური ესპანური სუპერდერბი — კატალონიური „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალის“ მატჩი. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ევროპაში ცნობილ პორნომსახიობ მარია პაპიედრასთვის ერთხელ კიდევ მიეღო მონაწილეობა პოლიტიკური პარტიის „სოლიდარობის“ მხარდამჭერ კამპანიაში. ეს პარტია ქვეყნის ჩემპიონების ყოფილი პრეზიდენტის ჟოან ლაპორტას ხელმძღვანელობით იბრძვის კატალონიის დამოუკიდებლობისთვის.**

ახლახან მარია გადაიღეს სააგიტაციო კლიპში, სადაც ლამაზმანი გამოჩნდა შიშველი, კატალონიის დროშაშემოხვეული. „რეალის“ გულშემატკივრების ორი მთავარი სალოცავის — სტადიონის „სანტიაგო ბერნაბეუსა“ და მათი საზეიმო თავშეყრის ადგილის სიბელესის მოედნის ფონზე მარიამ კატალონიურ ენაზე წაიკითხა საიგიტაციო სიტყვა.



ადრე ცნობილი გახდა, რომ პარტიამ პორნომსახიობი მიიწვია ერთ-ერთ მიტინგზე, რადგან ის ცნობილი იყო ამ ორგანიზაციის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსისადმი სიმპათიებით.

ისტორია

# „რუზველტმა რუსული შჩი შეიყვარა“

**იმის შესახებ, თუ რა დარჩა იალტის ცნობილი ყირიმის კონფერენციის კადრს მიღმა, გვიამბო ოფიციანტმა ევგენია შულგინამ, რომელიც ემსახურებოდა მაღალი რანგის სტუმრებს.**

— 1944 წელს ჩვენი არმია შევიდა იალტაში. ჰოსპიტალში მოვეწყვე სამედიცინო დად. მოგვიანებით ის გააუქმეს, ჩვენ კი, ახალგაზრდა მედიცინის დებს, შემოგვთავაზეს: „იმუშავებთ ოფიციანტებად. დაწერეთ განცხადებები დუმილის შესახებ“. შემოვიდნენ ჩვენი ინგლისელი და ამერიკელი ჯარისკაცები, ოფიცრები და უბრალო მოქალაქეები. ერთხელ მე ჩემს მეგობარ



ვალიასთან ერთად ეზოში მივდიოდით, ვხედავთ ვიღაც კაცი ფარდულთან ზის. ვალიას ვეუბნები: „ შეხედე, ის კაცი, ულვაშიანია ვიღაცა. ხომ ჰგავს სტალინს!“ მაშინ გაზეთები ბელადის პორტრეტებს იშვიათად ბეჭდავდნენ, ტელევიზორი კი საერთოდ არ იყო. ასე რომ ჩვენ ზუსტად არ ვიცოდით, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი. შემდეგ კი კომენდანტმა გვითხრა, რომ ეს სწორედ სტალინი იყო.

ჩვენთვის რომ ესწავლებინათ, მოსკოვიდან ჩამოიყვანეს სპეციალისტი, სასიამოვნო ახალგაზრდა ქალი. ის გვასწავლიდა, თუ როგორ გაგვეშალა სუფრა მაღალი რანგის ხელმძღვანელობისთვის: ჯერ საჭირო იყო გაგვეშალა თხელი საბანი, შემდეგ კი სუფრა. გაოცებული ვიყავით: რატომ?“ გვიხსნიდნენ: „რომ ჭურჭელი არ ხმაურობდეს და სტუმრებს არ აღიზიანებდეს“. შემდეგ მომსახურე პერსონალიდან რამდენიმე კაცი დასვეს სუფრასთან, ჩვენ კი გვითხრეს: „ივარჯიშეთ!“ შეგვიკერეს ფორმა, ლამაზი ღია ფერის კაბები და თეთრი ბატისტის წინსაფრები ფრთებითა და ფურჩალებით. გვეცვა ჩუსტები, რომლებსაც შიგნით რაღაც ბამბის მაგვარი ჰქონდათ: ფეხის ხმა რომ არავის გაეგონა.

კონფერენციისთვის მენიუს მოსკოვში ადგენდნენ, მაგრამ ყველა შეთავაზებიდან უცხოელმა სტუმრებმა ყველაზე მეტად შეიყვარეს ბორში და შჩი. რუზველტი ყოველდღე ითხოვდა, მისთვის მიეტანათ შჩი.

სტალინი ყველა სადილზე და ვახშამზე ჯდებოდა კუთხეში, იმას ხომ მარცხენა ხელი უმოძრაო ჰქონდა. ეტყობა, მისთვის ასე უფრო მოხერხებული იყო. მის გვერდით ჯდებოდა ორი სტუმარი, რომლებსაც ჩვენ ვუძახდით „სქელი და გამხდარი“. შემდეგ ჩვენ გვითხრეს, რომ ესენი იყვნენ რუზველტი და ჩერჩილი. რუზველტი ინვალიდის სავარძლით მოჰყავდა გოლიათს, ის სიმაღლით ორი მეტრი იყო და შავი სათვალეები ეკეთა. მარტო თვალები და კბილები მოუჩანდა. ჩვენი გოგონები მას მისჩერებოდნენ, როგორც საოცრებას.

სტალინი მხოლოდ იშვიათად გვესალმებოდა. ჩვეულებრივი ჟღალი კაცი კიტელში. საუბარი საერთოდ გვეკრძალებოდა. ისე გვწვრთნიდნენ, რომ ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა მხოლოდ „გამარჯობათ“, „ნახვამდის“, „კარგად ბრძანდებოდეთ“. დავალება გვქონდა: „თუ შეგეკითხებიან, უპასუხეთ. თუ არა და — იყავით წყნარი და მდუმარე“. ყველა წყნარად დავდიოდით — პიროვნება ხომ დავდეთ.

მოგვიანებით სასნოვკაში გადამიყვანეს. სტალინს იქ უყვარდა დასვენება. მისი ქალიშვილი სვეტლანა უბრალო გოგონა იყო. სახელმწიფო აგარაკზე ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე თავის შვილ იოსკასთან ერთად — ის მეტად ცელქი ბიჭი იყო. სვეტლანა გველაპარაკებოდა უბრალოდ, მე მაჩუქა კომბინაცია და თეთრი კაბა. იმას მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ვიცვამდი. მაგრამ მთლიანად მაღალი თანამდებობის პირთა შვილები თავხედები და ქედმაღლები იყვნენ. 1978 წელს მე მთავარ მეტრდოტელად ვმუშაობდი ყარაგოლში, იალტიდან 30 კილომეტრში. იქ ჩამოვიდა გალკა ბრეჟნევა თავის ქმარ ჩურბანოვთან ერთად. რა უნდა ვთქვა, ძალიან უყვარდა ბრეჟნევის ქალიშვილს სმა. ერთხელ დაეცა, იატაკზე დაფორთხავდა. დაცვას ვთხოვე: „გაიყვანეთ, დასვით კართან და იქ დააჭირეთ ხელი ღილაკს. დაცვა გამოჩნდება. თქვენ კი უმალვე მიიმალეთ. დაცვა დაინახავს მას და წაიყვანს“. რა თქმა უნდა, ჩვენ მისთვის რაიმე საპირისპირო სიტყვის ან შენიშვნის თქმისა გვეშინოდა.

თქვენ კი მეკითხებით, როგორ შევინარჩუნე ჯანმრთელობა 83 წლამდე. აგიხსნით: არასოდეს არ ვსვამდი და არ ვეწეოდი. თუმცა სახელმწიფო აგარაკებზე პურმარილის შემდეგ ბევრი ღვინო რჩებოდა. ჩვენი ბიჭები და გოგონები მათ წრუპავდნენ. მე კი გასინჯვაც არ მინდოდა. ბიჭები კი ღვინით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ამიტომ არის, რომ არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარაა. მარტო მე დავრჩი.

**ვალენტინა იაკუბოვსკაია**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ინფორმაცია

## ავტოავარია გორში

**გორის რაიონის სოფელ ქიწნისთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.**

**მსუბუქი ავტომანქანა შეშით დატვირთულ ტრაქტორს დაეჯახა. მანქანაში მჯდომი 4 მგზავრიდან 3 ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ერთი, მძიმე მდგომარეობით, ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**მგზავრების მანქანიდან გადმოსაყვანად, შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო. ავტოავარიის ზუსტ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.**

## ხობში მგლების შემოსევაა

**ხობის რაიონში მგლების შემოსევაა. სოფელ საჯიჯაოში ნადირი მოსახლეობას ეზოში შეუვარდა და სამ ოჯახს საქონელი დაუგლიჯა.**

**ადგილობრივები დახმარებას ითხოვენ. ბოლო 10 დღის განმავლობაში მგელმა 12 ოჯახი დააზარალა. მარტო ერთ ოჯახს ნადირმა 25 სული თხა დაუგლიჯა.**

**ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მათ ბავშვების სკოლაში გაშვების ეშინიათ. მოსწავლეებს, რომლებიც სოფლის განაპირა უბნებში ცხოვრობენ, მგელი რამდენჯერმე სკოლისკენ მიმავალ გზაზე შეხვდა.**

**ადგილობრივები დახმარებას და მონადირეთა ჯგუფის გამოყოფას ითხოვენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

გახსენება

## მადონა რუხაძე-რამიშვილის მონატრება



**მალე გაირბინა უშენოდ გაუსაძლისმა, ცრემლიანმა ერთმა წელმა. თავზარდამცემი იყო ჩვენთვის 26 ნოემბერი. სრულიად მოულოდნელად თითქოს დაცარიელდა ოჯახი. მწარეა უშენოდ ცხოვრების გაგრძელება. დააკლდი ყველას: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შენს ახლობლებსა და მეზობლებს. სიკეთის კეთება იყო შენი ცხოვრების წესი. შენი სიკვდილით გამოწვეული ტკივილი ყველა ჩვენგანს სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. 26 ნოემბერს შევიკრიბებით შენს საფლავთან ყვავილებით და წმინდა სანთლებით ხელში. დაე ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა საუკუნო სასუფეველში.**

**ყველას გვიყვარხარ და გვენატრები.**

**შენი ოჯახი**

**იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს მის ყოფილ თანამშრომელს თემურ დეკანოსიძეს სიძის**

**ოთარ წულუკიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

ჩვენი კარაბადინი

## უკან, სოფლისკენ

**მსოფლიოს უდიდესი მეგაპოლისები უახლოეს 300 წელიწადში საცხოვრებლად აღარ ივარგებენ, წინასწარმეტყველებენ ავსტრალიელი მეცნიერი-ფუტუროლოგები.**

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სიდნეიში, ვაშინგტონში, პარიზში, მოსკოვსა და მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში ისე ეცხელება, რომ ასეთ ატმოსფეროში სუნთქვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. მკვლევარები ეყრდნობოდნენ ინფორმაციას მსოფლიოში კლიმატური ცვლილებების სიჩქარისა და საშუალო წლიური ტემპერატურის დინამიკის შესახებ.



## სიცოცხლის გახანგრძლივების მარტივი წესი

**100 წლამდე ცოცხლობენ ისინი, ვინც მკაცრ დაბალკალორიულ დიეტას იცავენ. ბრიტანელმა მეცნიერებმა მოაწყვეს გამოკვლევა და გამოარკვიეს, რომ ადამიანები, ვინც რეკომენდებული დღიური ნორმის კალორიების მხოლოდ 60 პროცენტს ღებულობს, საშუალოდ 25 წლით მეტს ცოცხლობენ.**

ექსპერიმენტის დროს მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ კვების რაციონის დღიური ნორმის 30 პროცენტით შემცირება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკს და ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას ერთი მესამედით.

## ფხიზელი თვალი

**გერმანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ხელსაწყო, რომელიც საშუალებას იძლევა ვებრძოლოთ მძღოლების „წამიერ ძილს“. სიახლე გამოცდას გაივლის უკვე 2011 წლის დასაწყისში. როგორც კი „აი ტრეკერი“ — სწორედ ეს სახელი უწოდეს გამოგონებას — დაადგენს, რომ საჭესთან მყოფი ადამიანი ჩვეულებრივზე ნელა ახამხამებს წამწამებს ან ხუჭავს კიდეც მათ, გაისმის განგაშის სიგნალი. „ეს შეიძლება იყოს სასიგნალო გამაფრთხილებელი ნათურის შუქი, მაღალი ხმა ან საგრძნობი ვიბრაცია საჭეზე“, — განმარტავენ მეცნიერები.**



გერმანელი ექსპერტების შეფასებით, სიკვდილით დასრულებული ყოველი მეოთხე ავარიის მიზეზი არის ის, რომ მძღოლი მოკლე დროით ჩასთვლემს. „წამიერი ძილი“ განსაკუთრებით საშიშია დიდი სიჩქარით მოძრაობის დროს.

თავდაპირველად სისტემას დააყენებენ ლუქსის კლასის ავტომობილებში. პერსპექტივაში კი — ყველა მანქანაში, ვინაიდან სერიული წარმოების დროს ხელსაწყოს ღირებულება ას ევროს არ გადააჭარბებს.

## ცისფერი გვაფხიზლებს

**ცისფერის შეგრძნება გვეხმარება თავიდან ავიცილოთ შემოდგომის მოწყენილობა: ძილისადმი მიდრეკილება, ზედმეტი მადა და დაბალი სასიცოცხლო ტონუსი, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.**

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ხილვითი სპექტრის ცისფერი ნაწილის ზემოქმედებით თვალის რეცეპტორები აწესრიგებენ ძილისა და სიფხიზლის ცვლას, აზროვნების პროცესების აქტიურობას და განწყობილებას. ამას გარდა, ცისფერი ამცირებს მელანინის (ძილის ჰორმონისძ გამომუშავებას და სტიმულს აძლევს ორგანიზმის ბიორიტმს იმუშაოს აქტიურ რეჟიმში, არ დაემორჩილოს ზამთრის მძინარობას.

## სამკურნალო ნუშის თხილი

**ნუშის თხილი — იმუნიტეტის სამკურნალო მოდულირების საუცხოო საშუალებაა, რომელსაც შეუძლია დაგვიცვას შემოდგომის და ზამთრის გაცივებისგან.** ბრიტანელი მეცნიერების ლაბორატორიულმა ცდებმა აჩვენეს, რომ ნუში აუმჯობესებს იმუნური სისტემის მუშაობას და ამცირებს ანთების დონეს ქსოვილებში. ნივთიერებანი, რომლებსაც შეიცავს ნუში, წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ქრონიკული და ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.



ЗДОРОВЬЕ

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ⦿ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● მიღებულია, რომ რუსეთში მოსახლეობის პირველი აღწერა პეტრე პირველმა ჩაატარა, სინამდვილეში კი ეს პეტრემდე გაცილებით ადრე მონღოლებმა ჩაატარეს.

● თავის დროზე, რობერტ ფულტონმა ვერ მოხიბლა ნაპოლეონი ხომალდის აგების თავისი გეგმით და ელისეს მინდვრებზე პანორამა „მოსკოვის ხანძარი“ გახსნა. თერთმეტი წლის შემდეგ თითქოს წინასწარმეტყველება ახდა – მოსკოვს ხანძარი მოედო.

● ის პლატინისგანაა დამზადებული და 16-კარატიანი 170 ბრილიანტითაა ინკრუსტირებული. მისი ტარება მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ, თანაც ყველას არა – მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურებისთვის და ეს არის „გამარჯვების ორდენი“.

● ეკატერინე მეორისა და პოტიომკინის ერთ-ერთი გრანდიოზული პროექტი რომ წარმატებით დაგვირგვინებულიყო, შეიძლებოდა, ავსტრალიის ისტორია სხვაგვარად წარმართულიყო, რადგან ბრიტანელი კატორღელები ავსტრალიის ნაცვლად შავიზღვისპირეთის სტეპებში ჩაასახლეს.

● ევროკავშირის უმაღლესი ორგანოს – ევროპარლამენტის ბიუჯეტის 60 პროცენტი თარჯიმანთა შორის ანაზღაურებაზე იხარჯება.

● იაპონელი სერჟანტი შოიჩი იოკოი კუნძულ გუამზე 1972 წლამდე იმალებოდა. ის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ქვეითი იყო და ომის დამთავრების შესახებ არაფერი სმენოდა.

● სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის დეკრეტით ეს ქმედება, როგორც სხეულით ვაჭრობა, პროსტიტუციას უტოლდებოდა, დღეს კი ადამიანებს, რომლებიც ამას აკეთებენ, დიდად აფასებენ – ისინი სისხლის დონორები არიან.

● ჩვეულებრივი მალვიძარა, რომელიც გერმანიაში გამოუშვეს, მხოლოდ ორ ფრაზას წარმოთქვამს: „არ დამამტვრიოთ, ბოდიში, მე არაფერ შუაში ვარ“ და „ადექი“.

● რუსი მწერლები ლევ და ალექსეი ტოლსტოები არა მარტო მოგვარეები იყვნენ, მათ ცოლებსაც ერთი და იგივე სახელი და მამის სახელები ჰქონდათ – სოფია ანდრეევნა.

● ნაპოლეონს მისმა საყვარელმა მსახიობმა მარგარიტა ჟორჟმა ერთხელ პორტრეტი სთხოვა სამახსოვროდ და იცით, რა მისცა ნაპოლეონმა? – მონეტა ნაპოლეონდორი. მასზე იმპერატორი იყო ამოტვიფრული.

● რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი – ეს ხუთი სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია. მსოფლიო პრობლემების შემსწავლელი სტოკჰოლმის ინსტიტუტის მონაცემებით, ეს ხუთი ქვეყანა სათავეში უდგას „შავ სიასაც“, რომელშიც „იარაღის უდიდესი ექსპორტიორები“ არიან შეტანილი.

● დაღესტანში არის მთა, რომელიც განსაზღვრული კუთხიდან შეხედვისას ძალიან ჰგავს პუშკინის პროფილს.

● ყველაზე საშინელი იარაღი ქუვეითის ომის დროს, 1991 წელს, ქალაქ მინაალ-აჰმადში გამოიყენეს, – ტერმინალი გახსნეს და ნავთობი სპარსეთის ყურეში ჩაღვარეს.

● 1962 წელს ჩინეთ-ინდოეთის ომში ინდოელებმა მაღალმთიან უღელტეხილ სიკიმზე დესანტის დიდი ძალები გადაისროლეს, მაგრამ მათ ბრძოლა თითქმის ვერ შეძლეს, რადგან მებრძოლთა უმეტესობა მთის ავადმყოფობით ჰოსპიტალში მოხვდა.

● ლევ ტროცკის ნამდვილი გვარი ბრონშტეინი იყო, ხოლო სერგეი კიროვისა – კოსტრიკოვი.

● გილიოტინის გამომგონებელი ჟოზეფ გიოტენი პროფესიით თერაპევტი იყო, ხოლო ელექტროსკამისა – დანტისტი.

**შეკრიბა ტიტე კოპალეიშვილმა**

## ⦿ დაიჯესტი

# ბავშვებისთვის დრო ნუ დაგენანებათ

მშობლებთან ერთად მეცადინეობა იცავს ბავშვს მომავალში პიროვნული მოშლილობისგან, ამტკიცებენ ამერიკელი ფსიქოლოგები. ისინი ურჩევენ ყველა მშობელს, მეტი დრო დაუთმონ ბავშვებს, იკითხონ მათთან ერთად, დაეხმარონ მათ საშინაო დავალებების შესრულებაში და ასწავლონ ორგანიზაციული ჩვევები, ვინაიდან ყველა ეს მეცადინეობა ხელს უწყობს ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას მოწიფულ ასაკში. ექსპერტების აზრით, ხშირი ურთიერთობა უფროსებთან, განსაკუთრებით მშობლებთან, საშუალებას აძლევს ბავშვებს უფრო ღრმად და სრულად დააგროვონ ფსიქოლოგიური გამოცდილება.

Аргументы и Факты



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7530 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4083 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8129 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +11 |
| ქუთაისი. | +13 – +19 |
| ბათუმი. | +10 – +22 |
| ზუგდიდი. | +10 – +20 |
| თელავი. | +3 – +15 |


## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.

## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ⦿ კადრი



## ⦿ ანეკდოტები

– ალო, ლუსია, შენა ხარ? მე აქ ისაა, რა ჰქვია... სახლი ავაშენე, ხეც დავრგე...

– მოდი მაშინ...

* * *

არანაირი სქესობრივი თანასწორობა არ არსებობს: თუ შარვლიდან ამოჩაჩული ქალის ბიკინი ჩანს, ეს ეროტიკულად ითლება, ხოლო თუ შეუკრავად დარჩენილი ხვანჯრიდან კაცის ტრუსი მოჩანს, ეს სირცხვილია.

* * *

ჯიბის ქურდი ფილარმონიაში საფორტეპიანო კონცერტს ესწრება, უყურებს პიანისტს და დუდღუნებს:

– რა დიდებულად მოქნილი თითები აქვს და რა სისულელისთვის აფუჭებს!



* * *

ტიპმა ძმაკაცი დიდებულ რესტორანში დაპატიჟა და დიდებული სუფრაც გაუწყო. როდესაც მორიგი ჭიქა კონიაკიც გადაჰკრა, ძმაკაცს ეუბნება:

– ახლა რომ ჩემმა ექიმმა დამინახოს, ძალიან ცუდ ხასიათზე დადგებოდა.

– რაო, დიეტაზე დაგსვა?

– არა, უბრალოდ, მისთვის ფული ჯერაც არ გადამიხდია.

* * *

გუშინ ჯინსები გავირეცხე. ახლა მაქვს სუფთა ჯინსები, ორი სუფთა, მაგრამ დასველებით გაფუჭებული სანთებელა და ფულის გათეთრების მცირეოდენი გამოცდილება.

* * *

თუ მინდა, ვოცნებობ, თუ არ მინდა, არ ვოცნებობ. ვმართავ ჩემს ოცნებებს!

* * *

კლიენტი მუდამ მართალია. ყოველ შემთხვევაში, ფულის გადახდამდე.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.